Ale polscy powstańcy bili zsyłani nie tylko do Syberii, ale i na Kaukaz, również do Gruzji, gdzie służyli w wojsku rosyjskim pod srogim nadzorem jako oficerowie, albo jako żołnierze. Podobny przykład stanowi życie i działalność w Lagodechi Ludwiga Młokosiewicza (1851-1909), który służył w wojsku pod nadzorem w ciągu 8 lat, jako jeden z aktywnych organizatorów powstania polskiego. Zesłani Gruzini służyli w wojsku rosyjskim na terenie Polski. Więc dużo osób już zostawało w kraju i kontynuowało swoją działalność albo naukę.

Gruzja a Polska są podobne do siebie jaką kraje z prawie identyczną historią i geopolityczną sytuacją. Naród obydwóch krajów ostro walczył o niepodległość własnych krajów przeciw caryzmowi rosyjskiemu i oczywiście Gruzja a Polska nie mogły nie nawiązać i wzmocnić wzajemnych kontaktów.

Pomysł wydania tej książki pojawił się, żebyśmy mogli w wieku XXI wzmocnić dawną nawiązaną przyjaźń pomiędzy naszymi narodami. 58 lat spędzone Ludwigiem Młokosiewiczem w Lagodechi mogą być powodem wzmocnienia przyszłych pokoleń Lagodechi i Polski. Myślę, że działalność i życie młodego Polaka w Gruzji jest godne badania i bliższego zapoznania przez polskich studentów i naukowców.

Polski emigrat L. Młokosiewicz pokochał Gruzję, mianowicie Lagodechi. Prowadził aktywną działalność i wniósł wielki wkład do założenia Narodowego rezerwatu w Lagodechi, który jest najstarszym ze wszystkich rezerwatów Gruzji. Społeczeństwo, władza Lagodechi i dyrekcja rezerwatu powinny zrobić wszystko, żeby następne pokolenia pamiętali o polskim emigrancie, który ze szczególną miłością dbał o teren, który dzięki jego staraniom został uznany za rezerwat.

W roku 1921 dużo Gruzinów trafiło do Polski, która została dla nich drugą ojczyzną. Początkiem oficjalnych kontaktów pomiędzy Polską a Gruzją można zaznaczyć rok 1918, kiedy z misją dyplomatyczną z Polski do Gruzji przyjechał Wacław Ostrowski.

Chcę podkreślić, że emigracja do Polski była tak samo liczną, jak do Turcji, Niemiec, Rosji i Francji.

Chcę podkreślić wzmocnienie Polsko-Gruzjińskich kontaktów od roku 2000, po założeniu w Gruzji placówki dyplomatycznej: ambasady i konsulatu. Pierwszym ambasadorem Polski w Gruzji był

Piotr Borawski, któremu prezentowałem moją książkę „Hereti – ziemia błogosławiona”, w której wkrótce piszę o Ludwigu Młokosiewiczu i o jego 58-letniej działalności w Lagodechi. Pan Ambasador bardzo zainteresował się tą historią i kilka razy przyjeżdżał z kolegami z ambasady do Lagodechi.

Obecnie w Lagodechi mieszkają 68 rodzin polskiego pochodzenia: Welengórscy, Tyszkiewiczowie, Kaszyńscy, Karczewscy, Sokołowscy, Cybulscy i t.d. Szczególnie chcę zaznaczyć Leonida Dobronieckiego, który był przewodniczącym Lagodechskiego kolchozu w ciągu 38 lat, bohaterem pracy socjalistycznej, dwukrotnie członkiem Rady Najwyższej Gruzji, trzykrotnie członkiem komitetu centralnego Gruzji. Polska ambasada okazała tym rodzinom pomoc finansową, która była dla nich bardzo potrzebną i sprawiła tym wielką radość.



ლაგოდეხში სოციალისტური შრომის გმირებთან შეხვედრა. 1971 წელი. მარცხნიდან მესამე პოლონელი ლეონიდ დობრონეცკი, წიგნის ავტორი ჯემალ ხაჩიძე. მარჯვნიდან პირველი ჯონი ეგეტაშვილი

Trzeba zaznaczyć, że następny ambasador, Pan Jacek Multanowski również interesował się rezerwatem i kilkakrotnie zwiedził Lagodechi. 22 lipca 2003 roku odbyła się konferencja „Rola Ludwiga Młokosiewicza w popularyzacji Narodowego rezerwatu w Lagodechi”. Pan Multanowski wraz z małżonką i kolegami z ambasady złożyli kwiaty na grobie Młokosiewicza. Razem z nimi przyjechał kierownik wydziału w Ministerstwie Spraw Zagranicznych Gruzji Pan Rezo Donadze. Szczególnie podkreślam, że postać Młokosiewicza zainteresowała Panią Ambasador Urszulę Doroszewską, która dopiero niedawno, pod koniec 2008 roku przyjechała do Gruzji i już wyraziła chęć wziąć udział w obchodach 100-lecia śmierci Ludwiga Młokosiewicza w Lagodechi.

W roku 2007 do Lagodechi z Polski przeniósł się Pan Jerzy Ciemnołoński, który kupił w centrum Lagodechi piętrowy domek, w którym prowadzi prawie gruziński tryb życia, zaprzyjaźnił się z sąsiadami i na zaszczyt Ludwiga Młokosiewicza założył w swoim domu „Dom Polski”. Na domie wiszą dwie flagi, gruzińska i polska. Turyści z Polski zawsze go odwiedzają. Ten fakt jest jeszcze jednym przykładem polsko-gruzińskiej przyjaźni.

Szczególne wsparcie Polska okazała w ciągu i po otwartej agresji ze strony Rosji. W ciągu 2007-2008 roku Prezydent Polski Pan Lech Kaczyński kilkakrotnie przyjeżdżał do Gruzji.

Więc pięciuwiekowa polsko-gruzińska przyjaźń trwa do dzisiaj, którą wspierają również i młodzi ludzie. Trzeba koniecznie rozwiązać kontakty we wszystkich branżach w tym również w biznesie i gospodarce.

Część 5

Praktyczna konferencja naukowa Lagodechi, dnia 22 lipca 2003 roku

Często zastanawiałem się nad tym, ile wspólnego można odnaleźć w dziejach Polski a Gruzji. Los przydzielił jednemu narodowi być obrońcą środkowej części Europy, a drugiemu zaś stanąć na pograniczu z Azją. Historia oraz charakter tych narodów jest niepokonana.

W roku 1998, po otworzeniu w stolicy Gruzji Ambasady RP, został nawiązany kontakt z ambasadorem Piotrem Borawskim i innymi przedstawicielami ambasady. Przekazałem Panu Ambadorowi książkę mojego autorstwa «Błogosławiona ziemia Hereti», w której jest krótki opis historii życia i działalności Ludwiga Młokosiewicza w Lagodechi. Pan Ambador bardzo się zainteresował i niedługo przyjechał do Lagodechi, gdzie odwiedził Młokosiewicza i obejrzał rezerwat.

Ambasada RP w Gruzji, jej pierwszy ambasador Pan Piotr Borawski, a także następny ambasador Jacek Multanowski zwracali szczególną uwagę oraz wspierali badania i popularyzację twórczości byłych polskich zesłańców za czasów carskiego reżymu rosyjskiego. Najczęściej to byli uczestnicy Powstania Warszawskiego, przedstawiciele polskiej inteligencji. Potomkowie niektórych, mianowicie 65 rodzin, mieszkają w Lagodechi. Polak, Leonid Dąbroniecki był w ciągu 45 lat przewodniczącym kołchozu, miał nagrody, a także został Bohaterem Pracy Socjalistycznej.

22 lipca 2003 roku z mojej własnej inicjatywy a także za pomocą rządu miasta Lagodechi została organizowana Konferencja medyczna poświęcona dniu śmierci Młokosiewicza -

«**Rola Ludwiga Młokosiewicza w popularyzacji lagodechskiego rezerwatu**». Na konferencję do Lagodechi przyjechali Ambasador RP w Gruzji Pan Jacek Multanowski oraz inni przedstawiciele ambasady, którzy spotkali się ze starszym pokoleniem Polaków oraz z młodzieżą, która wyraziła chęć do nawiązania kontaktu z Polską, odnalezienia krewnych.

Ten dzień był szczególnie ważnym dla mieszkających w Lagodechi Polaków. Razem z przedstawicielami ambasady RP na konferencji był obecny kierownik wydziału kontaktów z regionami Ministerstwa Spraw Zagranicznych Gruzji Pan Rewaz Donadze.



Ambasador RP w Gruzji Pan Jacek Multanowski zaznaczył, że „dzień dzisiejszy” jest bardzo ważny, bo został on zaproszony i bierze udział w konferencji medycznej, która jest poświęcona 58 letniej działalności w Lagodechi wybitnego Polaka Ludwiga Młokosiewicza.



„Jestem już rok w Gruzji jako Ambasador RP i do dzisiaj nic nie wiedziałem o tej postaci, która zresztą nie jest znana i w samej Polsce. Jest bardzo ciekawe i ważne dla mnie, że spotkałem na tej sali Polaków, mieszkających w Lagodechi, wysłuchałem propozycje, pomysły i ciekawą informację, dotyczącą działalności Państwa, a także Ludwiga Młokosiewicza na rzecz założenia państwowego rezerwatu w Lagodechi.

Ta konferencja ma wielkie znaczenie i ambasada RP planuje dalej utrzymywać kontakt z mieszkającymi tu Polakami. W imieniu Ambasady RP życzę Państwu wiele pomyślności i dobrego życia tu w Lagodechi razem z Gruzynami. Mam nadzieję, że po przejściu jeszcze kilka dziesięcioleci imię Ludwiga



Młokosiewicza i jego wkład do stworzenia wspaniałego rezerwatu nie będzie zapomniane” - powiedział Pan Ambasador.





საგარეო საქმეთა სამინისტროს
განყოფილების უფროსი რევაზ დონაძე



წიგნის ავტორი ჯემალ ხაჩიძე



გამგებლის მოადგილე მზია ჯაფარიძე



შპს „კავკასიონის“ დირექტორი დავით ლომიძე



ნაკრძალის ყოფილი დირექტორი
ვაჟა პავლიაშვილი



ნაკრძალის მეცნიერ-მუშაკი
გიორგი მამუკელაშვილი



იაცეკ მულტანოვსკი ლ. მლოკოსევიჩის
საფლავთან



ზაურ ხუციშვილი, რევაზ დონაძე,
იაცეკ მულტანოვსკი, აკაკი ბახტაძე



Czasopismo «Wokrug Swieta» („Dookoła świata”), lipiec 1990 roku

Wszyscy dobrze znają urodzonego w Lagodechi lekarza Piotra Zgonnikowa, który już od lat mieszka z rodziną w Charkowie, ale nie zapomina swojego kraju ojczystego. Zgonnikow opublikował w gazetach i pismach różnych krajów wiele artykułów o działalności Ludwiga Młokosiewicza w Lagodechi. W tych artykułach autor wspomina jak go zaprosili w roku 1989 do Dagestanu i on z Charkowa pojechał na wieś Czoroda do rodziny Omara Sulejmanowa. Tam także przyjechał z Lagodechi Giorgi Dataszwili, który obecnie pracuje w Państwowym rezerwacie w Lagodechi. Dziadek Omara Suleimanow był zaprzyjaźniony z Ludwigiem Młokosiewiczem. Podczas ekspedycji w Dagestanie Młokosiewicz zawsze nocował w domu Omara Sulejmanowa. W Dagestanie Młokosiewicz był znany jako Polak z Lagodechi i „Starszy Leśniczy”.

Młokosiewicz zmarł 22 lipca 1909 roku podczas jednej z ekspedycji w Dagestanie na brzegu rzeki Durmuti. Sulejmanow przywiozł ciało swojego kolegi najpierw do swojego domu a później konno przez Duży Kaukaz przywieźli ciało do Lagodechi.

Ta smutna wiadomość dotarła do Lagodechi: oficerowie garnizonu i zwykli żołnierze, wszyscy odebrali to jako wielką tragedię. Orkiestra Półku Wojskowego w Lagodechi co wieczór grała żałobne melodie.

Omar Suleimanów przekazał swoim wnukom, że trzeba wznieść pomnik Młokosiewiczowi w Dagestanie. Obietnica została spełniona, i na wsi Czoroda koło lasu stoi pomnik Młokosiewicza, a mieszkańcy tej wsi do dziś pamiętają go z wielkim szacunkiem. W roku 1989 Sulejmanow zaprosił Zgonnikowa i Dodaszwilego do Dagestanu, żeby wspólnie odwiedzić ten pomnik.

Do niedawna nie wiedziałem o tym, zaś na początku XXI wieku ta informacja przypomina nam i potwierdza ciepłe stosunki pomiędzy Gruzinami i Dagestańczykami. A w tym przypadku łączy ich także wieczna pamięć i szacunek do Polaka Młokosiewicza.



178/100

ღუდვიმ მლოკოსევიჩი

**ქართული ხალხის
პოლონელი მებრძოლი**

ვარშავა 2009


ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ლუდვიგ მლოკოსევიჩის პოლონეთში დაწყებული ფიქრები საქართველოსკენ მიმავალ გზაზე (1851 წელი)
2. საქართველოში ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალი (დაცული ტერიტორია) ბუნების უძველესი ქმნილება.
3. ლაგოდების და საინგილოს ისტორიულ კულტურული ძეგლები
4. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა წარსულში და დღევანდებლობა
5. სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ლაგოდებში 2003 წელი 22 ივლისი

ლუდვიგ მლოკოსევიჩი

ქართველი ხალხის

პოლონელი მეგობარი



წიგნის ავტორი ჯემალ გიორგის-ძე ხაჩიძე დაიბადა საქართველოში, ლაგოდეხის რაიონში. 1967 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი. წლების განმავლობაში (1968-1990 წწ) მუშაობდა ლაგოდეხის რაიონში კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

შრომითი საქმიანობის პარალელურად სწავლობდა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ასპირატურაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

1988-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მეცნიერ თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს 34

სამეცნიერო შრომა. არის ერთი წიგნის ავტორი, რომელიც მიძღვნილია ლაგოდეხის წარსულსა და დღევანდელიობაზე.

როგორც საქმიანი, მცოდნე ადამიანი მისი ინიციატივით 1997 წლიდან ხელმეორედ დაიწყო ლაგოდეხის რაიონში სოფლის მეურნეობის ისტორიული და ტრადიციული დარგის მეთამბაქოების აღდგენა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ამ დარგში მოსახლეობის დასაქმება. არის ლაგოდეხის რაიონში „მეთამბაქოების მეწარმეთა კავშირის“ თავმჯდომარე და შ.პ.ს., „იმერი“ს დირექტორი.

როგორც სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტი, სადისერტაციო თემაზე მუშაობის დროს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და არქივებში, პარალელურად აგროვებდა ლაგოდეხის რაიონის ისტორიულ საინტერესო მასალებს, სწორედ ეს დაედო საფუძვლად, რომ 1998 წელს გამოსცა წიგნი „ჭერეთის მადლიანი მიწა“ რომელშიც მოკლეთ აღწერილია პოლონელი ლ. მლოკოსევიჩის შესახებაც.

აღნიშნული წიგნის გამოცემა კი ეძღვნება პოლონურ ენაზე ლუდვიგ მლოკოსევიჩის საქართველოში და მისთვის მეორე სამშობლო ლაგოდეხში 58 წლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი გარდაცვალების 100 წლისთავს.

ამით პოლონელი მკითხველის ბიბლიოთეკას კიდევ ერთი საინტერესო წიგნი შეემატება, ეს წიგნი არის საქართველოს და პოლონეთის ურთიერთობის წინა საუკუნეების გახსენებებისა, პოლონელი ლ. მლოკოსევიჩის ლაგოდეხში გატარებული ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

პოლონელი მკითხველი ამ წიგნს ალბათ მადლიერების გრძობით მიიღებს, რომელშიც დამაჯერებლადაა აღწერილი ლაგოდეხის ნაკრძალის უკვდავი ლ. მლოკოსევიჩის ღირსეული მამულიშვილური საქმეები და ღვაწლი ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნისათვის.

ლუდვიგ მლოკოსევიჩის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიების
პროგრამა ლაგოდეხის რაიონში

20 - 29 ივლისი 2009 წელი

20-21 ივლისი

ლაგოდეხში პოლონეთიდან ჩამოსული და სხვა მოწვეული სტუმრების მიღება ტურბაზაში. სურვილის მიხედვით ნაკრძალის ტერიტორიაზე საკუთარი კარვების მოწყობა და დასვენება.

22 ივლისი

12 საათზე- ლუდვიგ მლოკოსევიჩის საფლავის ყვავილებით შემკობა.

13 საათზე - ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის (დაცული ტერიტორია) შესასვლელში ლუდვიგ მლოკოსევიჩის მემორიალური დაფის გახსნა.

14 საათზე- სამეცნიერო კონფერენცია თემაზე “ ლუდვიგ მლოკოსევიჩის როლი ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის პოპულარიზაციის საქმეში“. საღამოს სტუმრებისათვის ვახშამი

23 ივლისი

10 საათზე შავი მთის ტბაზე (ზღვის დონიდან 3000 მეტრზე) 5 დღიანი ლაშქრობის მსურველთა შეკრება, სიის შედგენა, მათთან საორგანიზაციო თათბირი.(კვების პროდუქტების შექმნა საკუთარი ხარჯებით)

12 საათზე ჩამოსული სტუმრების მიერ ავტობუსით ლაგოდეხის რაიონის და ისტორიული ძეგლების დათვალიერება, შემდეგ ნაკრძალის ტერიტორიაზე გასეირნება-დასვენება

24 ივლისი

დილის 6 საათზე ლაშქრობაზე გამგზავრება ტურბაზის ეზოდან.

28 ივლისი

ლაშქრობიდან დაბრუნება ტურბაზაში.

29 ივლისი

ლაშქრობის მონაწილეთა ტურბაზაში დასვენება.

საღამოს 6 საათზე ტურბაზის წინ ლაგოდეხის სტადიონზე ბავშვთა ფეხბურთის შეჯიბრება.

შენიშვნა;

1.ტურბაზაში ფუნქციონირებს კაფე-ბარი, კვება და ტურბაზაში ყოფნა მოხდება დაბალ ფასებში ჩამომსვლელთა საკუთარი ხარჯებით

2. პოლონეთიდან ჩამოსვლის მსურველებმა **10 ივლისამდე** უნდა გვაცნობონ გვარი, სახელი, თანამდებობა. **E-mail jemal.khachidze@mail.ru**

ან დაგვირეკონ მობილურზე (+995 99) 183 550

12 ნოემბერი 2008 წელი

ღონისძიების საორგანიზაციო შტაბი

ხელმძღვანელი ჯემალ ხაჩიძე.

1. ლაგოდეხის გამგეობა--

2. კულტურის განყოფილება-- ვალერი ოდიაშვილი

3. ნაკრძალის დირექცია-- ზურა გამხარაშვილი

4. შ.პ.ს. „კავკასიონი“-- დავით ლომიძე

5. ლაგოდეხში პოლონური სახლის ხელმძღვანელი- იეჟი ჩემნოლონსკი

ლუდვიგ მლოკოსევიჩის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი
ღონისძიებების პროგრამა პოლონეთში

2009 წელი

1. 2009 წლის აპრილ-მაისში წიგნის გაყიდვა-გამოფენის მოწყობა, ვარშავაში, კრაკოვში, პოზნანში, ვროცლავში, ლუბლინში და სდანსკის უნივერსიტეტებში.
2. მოხსენების წაკითხვა აღნიშნულ უნივერსიტეტებში პროფესორებთან და სტუდენტებთან.
3. ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდებში ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ისტორიული საარქივო ფოტოსურათების და საქართველოში ლაგოდების უძველესი სახელმწიფო ნაკრძალის ფოტოსურათების გამოფენის მოწყობა.
4. სამეცნიერო მოხსენების წაკითხვა ვარშავის აჯანყების მუზეუმში და ფოტომასალების გამოფენის მოწყობა
5. პოლონეთში საქართველოს საელჩოში წიგნების გადაცემა და მოხსენიით გამოსვლა ლ. მლოკოსევიჩის ლაგოდებში მოღვაწეობის შესახებ.
6. პოლონეთის გაზეთ „პოლსკა“ში წერილების დაბეჭდვა და ტელევიზიაში გამოსვლა ლ.მლოკოსევიჩის წიგნის შესახებ, საქართველოში და კერძოდ ლაგოდებში 58 წლის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ
7. პოლონეთის კულტურის სამინისტრომ და პოლონეთში საქართველოს საელჩომ ზემოთ აღნიშნული ქალაქების უნივერსიტეტებში გაგვიწიონ დახმარება გამოფენების მოწყობისათვის

ღონისძიების საორგანიზაციო შტაბი E-mail jemal.khachidze@mail.ru
ხელმძღვანელი ჯემალ ხაჩიძე. (+995 99) 183 550

12 ნოემბერი 2008 წელი

შესავალი

წიგნი „ლუდვიგ მლოკოსევიჩი ქართველი ხალხის პოლონელი მეგობარი“ ეძღვნება ლაგოდეხში მის 58 წლის მოღვაწეობის განვლილ პერიოდს, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის საქმეში აქტიურ მონაწილეობას. პოლონეთში ახალგაზრდობის წარსულ წლებს. წიგნში აღწერილია აგრეთვე ლაგოდეხის ისტორიულ ძეგლები, საინგილო როგორც ჰერეთის ულამაზესი მხარე, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის წარმტაცი ბუნება, მისი ფლორა და ფაუნა

წიგნში აღწერილია პოლონეთის 1851 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების მზადებაში 19 წლის ლუდვიგ მლოკოსევიჩის მონაწილეობა,

არსებულმა მეტად საინტერესო ისტორიულმა მასალებმა მომცა სტიმული დამეწერა წიგნად, რომელიც ინტერესმოკლებული არ იქნებოდა პოლონელი ყველა პროფესიის მკითხველისათვის, რომლის ხელმეორედ ნახვა აღარ იქნება, ხოლო მუდამ შეიძლება მისი მოგონება და წაკითხვა.

განვლილი დღეები ისტორიაში სიცოცხლეს აგრძელებენ, ამიტომ არის რომ, ყოველი ამბავი კი არ კვდება, არამედ კანონზომიერი გაგრძელებაა წარსულისა და დასაბამია მომავლისა.

ასეა აქაც, როცა ამ წიგნის მასალებზე ვმუშაობდი ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პოლონელი და ქართველი ხალხი ამ წიგნის წაკითხვით და არსებული მასალების გაცნობით წარმოდგენილი მაქვს, როგორი აღტაცება ექნებათ, ან მათთვის, ვინც სულ მცირე დროით ერთხელ მაინც კი ყოფილა ლაგოდეხში, საკუთარი თვალით უნახავს ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარე ეს ულამაზესი ლაგოდეხის რაიონი და მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო ნაკრძალი.

ეს წიგნი ვფიქრობ საინტერესო იქნება პოლონელი მკითხველისათვის რადგან უფრო ახლოს გაეცნონ პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდეხში 58 წლის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ცოტაოდენ დახმარებას მაინც გაუწევს პოლონეთის დაინტერესებულ მკითხველს და იქნება მათთვის როგორც ერთ-ერთი საინტერესო წიგნი.

ლაგოდეხის რაიონის ამჟამინდელი მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად 1890-1905-იან წლებშია ჩამოსახლებული იმერეთიდან, რაჭიდან, ქართლიდან დიდი ილია ჭავჭავაძის ინიციატივით და მისი ბანკის ეკონომიკური დახმარებით, ეს ის წლებია როდესაც ლუდვიგ მლოკოსევიჩი ლაგოდეხში უკვე საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, ისტორიული მასალებიდან ნათლადაც ჩანს, რომ როცა ილია ჭავჭავაძე კახეთში ხშირად ჩამოდიოდა, ხვდებოდა ლაგოდეხის მოსახლეობას, ამ პერიოდში ლუდვიგ მლოკოსევიჩთან რამდენიმე შეხვედრაც მომხდარა.

თავი I

ლუდვიგ მლოკოსევიჩის პოლონეთიდან დაწყებული ფიქრები საქართველოსკენ მიმავალ გზაზე (1851 წელი)

ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის ამჟამინდელი მსოფლიო დიდება, მთელი თაობების თავდადებული შრომა-ღვაწლის შედეგია. ამ ბუნების ქომაგთა რიგში უთუოდ გამოირჩევა ერთ-ერთი მისი დამაარსებელი ლუდვიგ ფრანცის-ძე მლოკოსევიჩი, ეროვნებით პოლონელი, თავისი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, რომელმაც მთელი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში კერძოთ ლაგოდებში გაატარა, მან მთელი თავისი 58 წლის განვლილი ცხოვრება კავკასიის და კერძოთ ლაგოდების ბუნების შესწავლის, დაცვისა და წარმოჩენის საქმეს მოახმარა, ეს იყო 1853-1909 წლები.

ლუდვიგ მლოკოსევიჩი დაიბადა 1831 წელს ქალაქ ვარშავაში გენერალ ფრანც მლოკოსევიჩისა და ანა იანიკოვსკაიას ოჯახში, ჯერ 20 წლისაც არ იყო როცა 1851 წელს პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების მზადების ერთ-ერთ ხელმძღვანელს და მის რამდენიმე თანამონაწილეებს მეფის რუსეთის მთავრობამ სიკვდილი მიუსაჯეს, მისი დედა ანა იანიკოვსკაია იყო გავლენიანი ოჯახის შვილი, დედის და მისი ახლობლების თხოვნით, მას სიკვდილით დასჯა შეუცვალეს და კავკასიაში გადმოსახლეს და მიაშწესეს თბილისის გრენადერთა პოლკში, რომელიც მაშინ ლაგოდებში იყო განლაგებული.

ლ. მლოკოსევიჩმა არმიაში დაჰყო 1951 წლიდან 1860 წლამდე, სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ლაგოდებშივე დასახლდა ტყესთან ახლოს ვაშლოვანის ტერიტორიაზე, 2 წელსაც არ გაუვლია, რომ ყოფილი პოდპორუჩიკი პოლიციის მკაცრი ზედამხედველობით ვორონეჟში გაიგზავნა ადგილობრივი მცხოვრებთა მღელვარებებში მონაწილეობაში ეჭვის გამო. 6 წლის შემდეგ მას ნება დართეს დაბრუნებულიყო ლაგოდებში, ხოლო მოგვიანებით ისევ დედის მონდომების შედეგად პოლონეთში დაბრუნების უფლებასაც აძლევენ, მაგრამ ლ.მლოკოსევიჩი პოლონეთში აღარ მიდის, რადგან მის ძალღონეს აღემატებოდა მიატოვოს მისთვის საყვარელი და მახლობელი ქვეყანა საქართველო და კონკრეტულად ლაგოდები, რომელიც მისთვის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა და სიცოცხლის ბოლომდეც ლაგოდებში ცხოვრობდა ვორონეჟელი აზნაურის ასულთან ანასთან და შვილებთან ერთად, 1879 წლიდან ლ. მლოკოსევიჩი მუშაობას იწყებს მეტყევის თანამდებობაზე და ლაგოდას ხეობის გვერდით ტყის შესასვლელში იშენებს ქვიტკირის ერთსართულიან სახლს.



ლუდვიგ მლოკოსევიჩი

ლ. მლოკოსევიჩი მთელი გატაცებით განაგრძობს მუშაობას, ბოტანიკით და ზოოლოგიით დაინტერესებამ, რომელიც ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში დაეწყო ახალი ძალით იწყებს ლაგოდების ტყეების, მთის მცენარეულობისა და ტყის ცხოველთა სამყაროს კვლევას. 8-10 წლის შემდეგ თავისი მრავალი წლის დაკვირვებების შედეგები ლ.მლოკოსევიჩმა განაზოგადა ნაშრომში „ტყის მცენარეთა ყვავილობა ლუდვიგ მლოკოსევიჩი ახალგაზრდობის წლებში

ლაგოდებში.“სიცოცხლის ბოლომდე კი მის მიერ შექმნილ სამეცნიერო ნაშრომთა რიცხვი 50- მდე

აღწევდა. რამდენიმე წლის მანძილზე ზედიზედ მიემგზავრება საქართველოს ზღვისპირეთში, სადაც ატარებს ცდებს ჩაისა და ციტრუსების მოსაშენებლად, კახეთში შემოაქვს თამბაქოს და სხვა სამხრეთული კულტურების ნერგები, სწავლობს ვაზის ჯიშებს.

თავის საკარმიდამოსთან ახლოს აწყობს დენდრარიუმს, აკვირდება ეგზოტიკურ მცენარეულ აკლიმარიზაციას, (ხეხუერი, თათრი აკაცია, კორპის ხე, ამერიკული კაკალი, ბამბუკი და სხვა) მცენარეთა თესლები და ნერგები შემოაქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.



ლუდვიგ მლოკოსევიჩის სახლი ლაგოდეხში 1862 წელი

მის სახლში მუდამ სტუმრობდა, მოდიან ადგილობრივი მცხოვრებნი, ქართველები, სომხები, რუსები, დაღესტნელები. ზოგი ნერგისათვის, ზოგი რჩევისა თუ მოსარჩლეობისათვის.

ლ. მლოკოსევიჩს თავის მოვალეობად ყოველთვის მიაჩნდა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა საგნების და ჰერბარიუმების შეგროვება მსოფლიო მეცნიერთათვის, რუსეთის, ევროპის ქვეყნების ბაღებისა და მუზეუმებისათვის, ამ მიზნით იგი აწყობს გრძელვადიან ექსპედიციებს დასავლეთ საქართველოში, სპარსეთში, სომხეთში და დაღესტანში, ექსპედიციებიდან ბრუნდებოდა ყვავილების, პეპლების, ფრთოსნების კოლექციებითა და მთელი რიგი ახლი სამეცნიერო აღმოჩენებით. მე რომ ცოტა უფრო შეძლებული ვყოფილიყავი წერდა იგი 1890-იან წლებში წერდა იგი ერთი სოლიდური გამოცემისათვის დაწერილ თავის მოგონებებში- გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა.



ლუდვიგ მლოკოსევიჩის ოჯახი ლაგოდებში 1891 წლის სექტემბერი

ასე თავმდაბლურად აფასებდა თავის ნაღვაწს კაცი, რომელმაც მეცნიერებას კავკასიის მთის და ალპური ზონის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს 60-ზე მეტი ახალი სახეობა აღმოუჩინა. ზოგი მათგანი იორდა-სალამი, კავკასიური როჭო და სხვა, დღეს მლოკოსევიჩის სახელთან ერთად იხსენიება. სამეცნიერო საზოგადოება ცხადია დიდად აფასებს მის ღვაწლს, უბრალო მეტყვევს, რომელსაც ბობოქარმა ცხოვრებამ საუნივერსიტეტო განათლებაც კი არ აღირსა, 1895 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური მუზეუმის კორესპოდენტად ირჩევან, 1896 წელს კი აჯილდოებენ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ვერცხლის მედლით კავკასიის ფლორის შესწავლისა და დაღესტნის ეროვნებათა სოციოლოგიურ გამოკვლევებში მონაწილეობისათვის. იგი იყო თბილისის ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოების და ალპური კლუბის წევრი.



კავკასიური წიფელი



კავკასიური რცხილა



ქართული მუხა



გინკო



პავლოცნია



ჩვეულბრივი ხურმა



ჩვეულებრივი წაბლი



კავკასიური წაბლი

ლ.მლოკოსევიჩთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდათ მოსკოვის, ლენინგრადის , საქართველოს, სომხეთის ბოტანიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ცნობილ მეცნიერებს. მას მიმართავდნენ რჩევისათვის, უთანხმებდნენ და სთხოვდნენ ერთობლივი ექსპედიციების მოწყობისათვის, ხდებოდა სამეცნიერო დაკვირვებებისა და ნაშრომთა საქმიანი გაცვლა-გამოცვლა. ლ. მლოკოსევიჩი მთელმა ევროპამ გაიცნო „იყო კავკასიაში, არ ესტუმრო და არ ნახო მლოკოსევიჩი თავის ბინაში, იხსენებს თავის ჩანაწერებშიცნობილი მოგზაური იუნკერი, ეს იგივეა, რომ ჩახვიდე რომში და არ ნახო რომის პაპი.“

ლაგოდების ხეობის ნაკრძალად გადაქცევა- ასეთი მიზანი ქონდა დასახული ლ.მლოკოსევიჩის თავისი ცხოვრების მიზნად, ამ თემაზე წერს სტატიებს იმდროინდელ გაზეთებში და ჟურნალებში, დახმარებისათვის მიმართავს თბილისს, პეტერბურგს, მოსკოვს და თვით შორეულ ტარტუშიც აწვდის ხმას თავის მეგობარს გეოგრაფიასა და ბოტანიკაში, ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორს ნ.ი.კუზნეცოვს, მამას უკვე ქალიშვილი ანაც ეხმარება, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და იქვე ზოოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა.

ლ. მლოკოსევიჩის ამ უდიდეს და ფრიად საშვილიშვილო წამოწყებულ საქმეში აქტიურად ერთვება თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-თანამშრომელი დ.ი.სოსნოვსკიც და ერთობლივად აქვეყნებენ საგაზეთო სტატიებს.



ლუდვიგ მლოკოსევიჩის საფლავი ლაგოდებში

ამდენი ხნის მოღვაწეობის და დაუღალავი შრომის შემდეგ სულ სამი წელი დააკლდა ლ.მლოკოსევიჩს, რომ თავისი ცხოვრების დიდ ნაოცნებარს პირადად მოსწრებოდა, ნაკრძალად გამოცხადებული ეხილა ლაგოდების ეს ცამდე აზვირთული ტყეები. იგი გარდაიცვალა მორიგი ექსპედიციის დროს 1909 წლის 22 ივლისს 78 წლის ასაკში, დაღესტანში ბობოქარი და მღვრიე მდინარის ჯურმუთორის ნაპირებზე. მისი ცხედარი ჩამოასვენეს ლაგოდებში და დაკრძალეს კალინოვკის რუსულ სასაფლაოზე, უკანასკნელ წლებში მის საფლავს განსაკუთრებულად უვლიან ლაგოდებში ერთობლივად ქართველი და პოლონელი ადამიანები. ისე, რომ ლ.მლოკოსევიჩს ფასდაუდებელი დიდი ღვაწლი მიუძღვის ლაგოდების ნაკრძალის შექმნის საქმეში.

ლ.მლოკოსევიჩს ჰყავდა ათი შვილი, აქედან ექვსმა მამის საქმე განაგრძო, ქლიშვილი ანა ენტომოლოგი, როგორც ვთქვით ზოოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა და ხშირად ხელმძღვანელობდა ლაგოდებში ამ ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ექსპედიციებს, როგორც საარქივო და საგაზეთო მასალებიდან ჩანს მამის მითითებით სწორედ მან რამდენჯერმე მიმართა წერილობით მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიას შუამდგომლობით ლაგოდების ასეთი ულამაზესი ბუნების ნაკრძალის დაარსების თაობაზე. ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ენტომოლოგთა საზოგადოების სხდომაზე 1911 წლის 7 დეკემბერს გამოდის მოხსენებით „ლაგოდების ხეობის ტყეები“ და ამტკიცებდა, რომ მდებარეობით ლაგოდების ეს ულამაზესი ადგილი, მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით აუცილებელია დაცული იქნას და მოითხოვდა ნაკრძალად გამოცხადებას.

მეორე ქალიშვილი იულიაც სწავლობდა კავკასიის ფლორას და მისდევდა ტყის მფრინველთა შესწავლას და მოშინაურებას, მისი სახელობის ყვავილი „იულიას ფურისულა“ ლაგოდების ნაკრძალის ერთ-ერთი ენდემია.

ვაჟიშვილი ლეონიდე ბუნების დაცვისა და არქეოლოგიის დარგში მუშაობდა, ხოლო ვიქტორი, აგრეთვე ცნობილი მეტყევე იყო და თავისი სიცოცხლეც მამის მსგავსად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაასრულა მდინარე მაწიმის ხეობაში დაკრძალულია ლაგოდებში.

მამა-პაპის საქმეს ჩვეული კეთილსინდისიერებითა და სიყვარულით განაგრძნობდა ბორის ვიქტორის ძე მლოკოსევიჩი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, აფხაზეთის სატყეო-საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საქართველოს და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მეტყევე.

პოლონელი ხალხის გამოჩენილი შვილის ლ.მლოკოსევიჩის სახელი სამუდამოდ შევიდა ბოტანიკოსი მეცნიერების ისტორიაში, მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ მრავალი მასალა მოიპოვება როგორც რევოლუციამდე, ისე ისე თანამედროვე საბჭოთა და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, ფლორისა და ფაუნის მსოფლიოს გამოჩენილ მკვლევართა გვერდით. დღევანდელ თაობას დიდი ვალი გვაწევს მოკრძალებული პოლონელი მეტყევისა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა, დაიცვა და მსოფლიო მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს ბუნების საკვიველებას დღეს უკვე ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალს, რომლის მთლიანი ფართობია უკვე 24450 ჰექტარი დაცული ტერიტორიად წოდებული.

ლაგოდების საზოგადოება დღესაც დიდ პატივს სცემს ლ. მლოკოსევიჩის ხსოვნას, ლაგოდებში მისი ცხოვრების განვლილ გზას, ნაკრძალის და რაიონის მხარედმცოდნეობის მუზეუმში მოწყობილია მისი მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათები და დაცულია მრავალი საინტერესო მასალები მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

ლაგოდებში დღეისათვის კიდევ არის შემორჩენილი ლ.მლოკოსევიჩის 1867 წელს აშენებული ქვიტკირის სახლის კედლები, პრაქტიკულად ჩემი ინციატივით რამდენიმე წლის წინ გასუფთავდა და კეთილმოეწყო ეს ტერიტორია და დენდრარიუმი. ლაგოდებში ამ ადგილისაკენ მიმავალ ერთ ქუჩას 4 წლის რაიონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ეწოდა ლ.მლოკოსევიჩის სახელი, რაც ნიშანია მისი დიდი ღვაწლისა, ერთხელ კიდევ ეს არის ნათელი დადასტურება პოლონეთის და საქართველოს რესპუბლიკების მთავრობების დიდი მეგობრული დამოკიდებულებისა, რაც უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს, სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ შევიმუშავეთ 2009 წლის 22 ივლისისათვის ლ.მლოკოსევიჩის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი ლაგოდების და პოლონეთის სამეცნიერო-კულტურული ღონისძიებების გეგმა საქართველოში პოლონეთის საელჩოს მონაწილეობით.

(მლოკოსევიჩის ძველი სახლის სურათი)

ეს იქნება თავისებური მნიშვნელოვანი სავიზიტო ბარათი პოლონელი მეგობრის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დამფასებლთა და შემსწავლელთათვის, უფრო მეტიც ეს არის ქართველი ხალხის მადლიერების ახალი გამოხატულებისა, რომელშიც აქტიურად ჩაებმებიან პოლონეთის კულტურის და სამეცნიერო დაწესებულებების საზოგადო მოღვაწეები, პოლონელი ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლები. პოლონეთის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით სისტემატურად უნდა მიეწოდოს პოლონელ ხალხს იფორმაცია საქართველოში ლ. მლოკოსევიჩის 58 წლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საგულისხმო და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ლუდვიგ მლოკოსევიჩის შვილთა შვილი ანატოლი მლოკოსევიჩი, ამჟამად ცხოვრობს თბილისში და მუშაობს მეტეროლოგიის კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, მისი დედა ქალბატონი ელენა ალექსანდრეს-ასული თულაშვილი 86 წლისაა, რომელმაც წარმოგვიდგინა წიგნში გამოსაქვეყნებლად წარსული წლების შესანიშნავი განვლილი პერიოდი. ანატოლი მლოკოსევიჩი დღეს ერთადერთი შთამომავალია ლუდვიგ მლოკოსევიჩის შთამომავლობისა, რომელიც დედასთან ერთად სასოებით ინახავს სახელოვანი დიდი პაპის მემორიალურ ნივთებს, ფოტოსურათებს, გამოქვეყნებულ თუ ხელნაწერ თხზულებებს.

პოლონელი ხალხის საყვარელი შვილის და მოქალაქის ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდებში ცხოვრების და მოღვაწეობის გზა, რომელიც საქართველოსათვის სამსახურში გაიღია, მისი მეორე სამშობლოს საყვარელი საქართველოს მიწა-წყლისა და ქართველი ხალხისათვის თავდადებაა, რათა ქართველი მომავალი თაობებისათვის შეენარჩუნებინა ლაგოდების ბუნების სილამაზე, მისი ეს დიდი ღვაწლი გვავალებს სათუთად შევინახოთ მისი სახელი, პატივითა და დიდებით გადავცეთ ქართველ და პოლონელ მომავალ თაობებს.

ლუდვიგ მლოკოსევიჩის მამის ფრანციშეკ მლოკოსევიჩის წარსული პოლონეთში (არქივიდან)

ფრანციშეკ მლოკოსევიჩი დაიბადა 1769 წლის 5 მაისს, კოჟმინსკის გუბერნიის სოფელ კალისკში და გარდაიცვალა ვარშავაში 1845 წლის 23 მარტს. იგი იყო სტანისლავ ავგუსტის ეპოქის პოლონელი ოფიცერი, რომელიც მონაწილეობდა ნაპოლეონის ომებსა და პონიატოვსკის მხარდამხარ. მან ამ პერიოდში თავისი მეომრული მამაცობით მთელ ევროპაში გაითქვა სახელი. როგორც იშვიათმა გამონაკლისმა მან რიგითი მებრძოლიდან გენერლის ტიტულამდე მიაღწია, ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ იგი საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელი იყო.

დაწყებითი განათლება მან მშობლიურ კალისკში მიიღო, ხოლო როცა 20 წლის გახდა, იგი როგორც რიგითი მებრძოლი შევიდა ქვეითთა მე 8 პოლკში, რომლის რიგებში ბრძოლისას სერჟანტის ჩინით დააჯილდოვეს. ფრანციშეკი მონაწილეობდა პოლონეთის მიერ კოსტიუმკოს ხელმძღვანელობით გამართულ ბემპოლებში 1792 წელს პოდპოლუჩიკის ჩინით. სამწუხაროდ ის ბრძოლა პოლონეთმა წააგო. 1806 წლის დეკემბერში იგი ვარშავის სამთავრის ქვეითთა მე 5 პოლკშია პოლკეიკად და ნახევარი წლის შემდეგ კაპიტნის ჩინს იღებს.

1807 წლის სამხედრო კამპანიის შემდეგ მას აჯილდოებენ Virtuti Militari-ის ორდენით. 1808 წელს მის პოლკს ესპანეთში გადაისვრიან, 1810 წელს მას და მის ხელქვეით 150 ჯარისკაცს ავალეებენ ფრანგების მიერ მლაგის ახლოს აღებული ციხე-სიმაგრის ფუნგირელის დაცვას, ეს ციხე-სიმაგრე გიბრარტალის მხრიდან იცავდა ქალაქს. გიბრარტალის გუბერნატორმა გადაწყვიტა ფუნგირილა აეღო ზღვის მხრიდან საექსპედიციო კორპუსის ძალებით, რომელსაც დორდი ბლაინეი ედგა სათავეში.

1810 წლის 14 ოქტომბერს ინგლისელებმა იერიში მიიტანეს ციხე სიმაგრეზე, რომლის დაცვამ ფ. მლოკოსევიჩის



მეთაურობით გამირულად, მამაცურად უკუაგდო, ხოლო მეორე დღეს ფრანგული და პოლონური დახმარების შემდეგ თავად გადავიდა შეტევაზე, აიღო ინგლისელთა ბატარეა და თავად ლორდი ბრაინერი 8 ოფიცერი და 177 ჯარისკაცი ტყვედ იგდო. ამ მამაცობისათვის ფ. მლოკოსევიჩი უმაღლესი სამხედრო მედლით დააჯილდოვეს. ფუნგურელის დაცვამ პოლონელ მებრძოლებს ევროპული დიდება მოუტანა. 1812 წლის დასაწყისში თავის სამშობლოში დაბრუნებული ფ. მლოკოსევიჩი, როგორც ბატალიონის მეთაური მონაწილეობს ნაპოლეონის რუსეთის სამხედრო კამპანიაში, ჯერ ბერეზინთან გამართულ ბრძოლებში, ხოლო შემდეგ 1813 წელს ლიბლსკთან წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში, რომლის დროსაც იგი მძიმედ დაიჭრა. 1815 წლიდან იგი მაიორის ჩინით ინვალიდთა კორპუსში



მსახურობს. 1817 წელს ფ. მლოკოსევიჩი სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდება და რადივთან ახლოს თავისი ცოლის მამულებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას იწყებს. ივლისის აჯანყების პერიოდში იგი სამხედრო საქმეს უბრუნდება და 1831 წელს პოლკოვნიკის ჩინსაც იღებს. 26 ივლისს მას კალეშინთან რუსების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ბრიგადის გენერლობამდე აწინაურებენ. პასკევიჩის მიერ ვარშავაზე თავდასხმებისას ფ. მლოკოსევიჩი უკვე ბრიგადის მეთაურის რანგში იბრძვის. ვარშავის დაცემის შემდეგ დაინახა რა აჯანყების საბედისწერო შეტევები მან გადადგომა ითხოვა, იმპერატორ ნიკოლოზ 1-ს ერთგულება შეჰფიცა და კვლავ თავის მამულებს დაუბრუნდა. 1842 წელს მეფე ნიკოლოზმა მას პოლონეთის სამეფოს თავადის ტიტული უბოძა და ფუნგირელის ღერბიც უფემკაშა.

ფრანციშეკ მლოკოსევიჩი ორჯერ იყო დაქორწინებული, პირველად ანა სოკოლოვსკაიასთან, მასთან ვაჟიშვილი ყავდა, ხოლო მეორედ დაქორწინებული იყო ანა იანიკოვსკაიასთან. მასთან კი სამი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ყავდა. მის შვილებს შორის განსაკუთრებული სახელი და დიდება მოიპოვა 1831 წელს დაბადებულმა ლუდვიგ მლოკოსევიჩმა ბოტანიკოსმა და ზოოლოგმა.

გენერალი ფრანციშეკ მლოკოსევიჩი დაკრძალულია ვარშავაში პოვიასკას სამხედრო სასაფლაოზე.

ლუდვიგ მლოკოსევიჩის შვილთაშვილი
ანატოლი ვიქტორის-ძე მლოკოსევიჩი



მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან კონკრეტულად 1831 წელს ვარშავაში დაბადებული ლუდვიგ მლოკოსევიჩის საგვარეულოდან, რომელიც ცხოვრობდა ლაგოდებში და ყავდა 10 შვილი, დღეს საქართველოში ერთადერთი შთამომავალია ანატოლი ვიქტორის-ძე მლოკოსევიჩი, რომელიც 57 წლისაა და ცხოვრობს დედასთან ერთად თბილისში, მისი დედა ქალბატონი ელენე თულაშვილი-მლოკოსევიჩი 86 წლისაა, არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, 1940 წელს წარჩინებით ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ქალბატონი ელენე თულაშვილი 1942-1945 წლებში გაწვეული იყო ჯარში, ბაქოსა და გროზნოს თავდაცვაში, მონაწილეობდა 339-ე საზენიტო-საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში. დემობილიზაციის შემდეგ ცოლად გაჰყვა ლაგოდებელ პოლონელს ლუდვიგ მლოკოსევიჩის შვილიშვილს ვიქტორ ვიქტორის -ძე მლოკოსევიჩს, ომის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1957 წელს ე.თულაშვილი გახდა საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, 1975 წელს კი მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება, ამჟამად პერსონალურ პენსიაზეა.

ანატოლი მლოკოსევიჩი არის უმაღლესი განათლებით, დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის სპეციალობა, წლების განმავლობაში მუშაობს საქართველოს მეტროლოგიის ინსტიტუტში ლაბორატორიის გამგედ, მისი ბევრი დადებითი ბუნებიდან გამომდინარე დღემდე დაუოჯახებელია, ანატოლის დიდი ბაბუა ლ.მლოკოსევიჩი კი ლაგოდებში, რომ ცხოვრობდა (1851-1909 წწ.) ჰყავდა 10 შვილი, 4 ვაჟიშვილი და 6 ქალიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის ბუნებისმცოდნე, ისიც ისევე, როგორც მისი წინაპრები შეყვარებულია ბუნებაზე და კერძოთ ლაგოდების ნაკრძალზე.

ანატოლის აქვს დიდი სურვილი, რომ მოინახულოს და გამოეხმაუროს პოლონეთში მისი დიდი ბაბუის ლუდვიგ მლოკოსევიჩის და ბებუის ანა იანიკოვსკაიას საგვარეულოს ნათესაობას და გაგრძელდეს მათი კავშირები, ვფიქრობთ ეს მოხდება ამ წიგნის საშუალებით.

ლუდვიგ მლოკოსევიჩის შვილიშვილის--ვიქტორ მლოკოსევიჩის მეუღლის თბილისში მცხოვრები ელენე თულაშვილი-მლოკოსევიჩის მოგონებები



ლაგოდებში მცხოვრები პოლონელი ლუდვიგ ფრანცის-ძე მლოკოსევიჩის ოჯახი მრავალშვილიანი იყო, მას ჰყავდა 10 შვილი. აი რამდენიმე მონაცემი მის შთამომავლებზე; ლუდვიგ მლოკოსევიჩის შვილიშვილი ბორის ვიქტორის-ძე მლოკოსევიჩი დაიბადა ლაგოდებში 1914 წელს, ის ექვსი წლის იყო, როცა გარდაეცვალა მამა, რომლის სიკვდილთანაც დაკავშირებულია ლეგენდა. პირველი ვარაუდია იმისა, რომ ის ხევში (უფსკრულში) გადააგდო ბრაკონიერმა, რადგან ვიქტორი ისევე, როგორც ყველა მლოკოსევიჩები, ულმობლად ებრძოდა ლაგოდების მთის ბუნების შენარჩუნებას და შემდეგ როგორც ნაკრძალის მშენებას.

როგორც ლაგოდების ნაკრძალის მეტყვევის თანამდებობის შესრულებისას არსებობდა მისი დალუპვის მეორე ვერსიაც, შესაძლოა გადაეგდო ხევში დათვს, რომელიც იმყოფებოდა ბელებთან ერთად და თავისი ნაშიერების ადამიანისაგან დაცვის მიზნით შეეებრძოლა და გადააგდო ხევში.

ასე იყო თუ ისე, მოხდა უბედური შემთხვევა და ოჯახი დარცა ოჯახის უფროსის გარეშე, ბორის მლოკოსევიჩს, ბაბუის და მამის მსგავსად ძალიან უყვარდა ბუნება. სკოლის დამთავრების შემდეგ ბორის მლოკოსევიჩი მოეწყო სატყეო ინსტიტუტში, მისი ბუნებისადმი სიყვარული შეამჩნია ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა ვახტანგ გულისაშვილმა, რომელიც გახდა არა მარტო მისი დამრიგებელი და მასწავლებელი არამედ მისი მეგობარიც.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბორის მლოკოსევიჩი გააგზავნეს ქ. ბარდაში (აზერბაიჯანი) სადაც მას მოუსწრო ომმა, 1941 წლის ივლისში გაწვეული იქნა წითელი არმიის რიგებში, ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მრავალი ჯილდოებით დამშვენებული ლაგოდებში. დაინიშნა ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, მან რამდენიმე წელიწადში აკადემიკოს ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და გადაყვანილი იქნა აფხაზეთში ქ.ოჩამჩირეში აფხაზეთის სატყეო კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ, მან დიდი წვლილი შეიტანა თავისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომებით სატყეო მეურნეობის და ნაკრძალების დაცვის საქმეში. მისი საქმიანობაც როგორც „ტყის ქომავისა“ არაერთხელ აღინიშნა პრესაში.

ბორისის ძმა ვიქტორ ვიქტორის -ძე მლოკოსევიჩი დაიბადა 1920 წელს, მისი მამის და ბაბუის ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდების ნაკრძალში ტრაგიკული დალუპვის შემდეგ, როგორც მისი ძმა და მთელი ოჯახი შეყვარებული იყო ლაგოდების ბუნებაზე. მან წარჩინებით დაამთავრა არქიტექტურული ტექნიკუმი და ისიც გაწვეული იქნა ომში, მთელი ომის განმავლობაში გაიარა გზა სტალინგრადიდან ბერლინამდე, დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენებით და მედლებით, მშვიდობიანად დაბრუნდა მშობლიურ ლაგოდებში და დაიწყო მანაც მუშაობა ლაგოდების ნაკრძალის მეტყვევად. შემდეგ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტორის სპეციალობით და ისევ გაიწვიეს ჯარში სასამსახუროდ რაკეტოდრომის მშენებლობაზე, 1978 წელს დაბრუნდა ლაგოდებში, აგრძელებდა სამსახურს ლაგოდების ჯარში, მაგრამ მოულოდნელად იმავე წელს გარდაიცვალა, დასაფლავებულია ლაგოდებში სამხედრო პატივით.

ელენე თულაშვილი-
პერსონალური პენსიონერი, სამხატვრო აკადემიის ყოფილი მეცნიერ თანამშრომელი,
საქართველოს დამსახურებული მხატვარი,

ერთი ეპიზოდი ლუდვიგ მლოკოსევიჩის წარსულზე

წიგნის ავტორის ბაბუის სიმონ ხაჩიძის პირადი ჩანაწერებიდან.




სიღნაღის მაზრის (ლაგოდეხი) სოფელ ყარსუბანში 1903 წელს იმერეთიდან ხარაგაულის რაიონიდან ჩამოსახლდა ჩემი ბაბუა სიმონ ხაჩიძე, რომელიც იყო განსწავლული და სოფელში რუსულის კარგი მცოდნე, მის პირად ჩანაწერებში მოხსენიებულია, რომ იგი რამდენჯერმე სტუმრობდა ლაგოდეხში ლუდვიგ მლოკოსევიჩს და კარგი ურთიერთობაც დაუმყარებიათ, საუბრობდნენ გამართულ რუსულ ენაზე და ქართულადაც.

ერთხელ 1906 წლის მაისში ლ.მლოკოსევიჩი ყოფილა სიღნაღის მაზრაში, ლაგოდეხში უკან დაბრუნების დროს სტუმრად სწვევია სოფელ ყარსუბანში ჩემს ბაბუას სიმონ ხაჩიძეს და ერთი დღეც დარჩენილა მასთან. ძალიან მოსწონებია ბაბუას საკარმიდამო, გაშენებული ვენახი, მრავალი ჯიშის ბალი, მსხალი და სხვა მრავალი ხეხილი, ბაბუას 20-მდე სხვადასხვა ჯიშის ნამყენი ხეხილის

ნერგებიც გაუტანებია.

ძალიან მოსწონებია ლ.მლოკოსევიჩს ქართული ღვინო, ბაბუასათვის საუბარში მოუყვლია პოლონეთში თავისი სიჭაბუკის წლები და შემდეგ თუ როგორ და რისთვის გადმოასახლეს კავკასიაში, როგორ მოხვდა ლაგოდეხში. აქ გატარებული განვლილი წლები ლ.მლოკოსევიჩს აღუნიშნავს, რომ მისთვის საქართველო უკვე ამ წლების განმავლობაში წარმოიქმნა, როგორც მეორე სამშობლო. ბევრი უსაუბრია პოლონეთში თავისი საგვარეულოს და თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის შესახებ.



წიგნის ავტორი ჯემალ ხაჩიძე შვილიშვილებთან ერთად მარიამი, ანზორიკა და ანასტასია

თავი 2

საქართველოში ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (დაცული ტერიტორია) ბუნების უძველესი ქმნილება

საქართველოში ყველაზე ღირსშესანიშნავ ადგილს წარმოადგენს ლაგოდეხის რაიონის უძველესი სახელმწიფო კომპლექსური ნაკრძალი (დაცული ტერიტორია) რომელსაც 24668 ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქედან ტყით დაფარულია 12346 ჰექტარი (72%) დანარჩენი 5322 ჰექტარი ალპური სამოვარია.

სამხრეთის მხრიდან ნაკრძალის საზღვარი იწყება ზღვის დონიდან 450 მტრ სიმალიდან და ყველაზე მაღალ სიმაღლეს აღწევს 3500 მეტრს, აღმოსავლეთით-ნაკრძალს ესაზღვრება მდინარე მაწიმის ხევი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს საქართველოს საზღვარს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, დასვლეთიდან- მსხალგორის წყალგამყოფი ქედი, ჩრდილოეთიდან-მთავარი კავკასიონი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს საქართველოს საზღვარს დაღესტანის ასსრ-თან ანუ რუსეთის ფედერაციასთან, სამხრეთით ესაზღვრება ლაგოდეხი და რაიონის სოფლები. ნაკრძალის ტერიტორიაზე ყველაზე მაღალია ქოჩალოს ქედი, რომელიც აღწევს ზღვის დონიდან 2500 მეტრის სიმაღლეს, შემდეგ კუდიგორის და ნინიგორის ქედები.



ქალაქი ლაგოდეხი, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (დაცული ტერიტორია)



ლაგოდეხში მიმავალი გზა, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (დაცული ტერიტორია)

ფლორისა და ფაუნის მდიდარმა ამ ადგილებმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში მიიზიდა ბუნების მოყვარულთა და მკვლევართა ყურადღება. სწორედ ლუდვიგ მლოკოსევიჩის ინიციატივით კავკასიური როჭო დამოუკიდებელ სახეობად აღიარეს და აღმომჩენის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს Terra Mlokosiewizi, ლ.მლოკოსევიჩის სახელს უკავშირდება ასევე ლაგოდეხის ნაკრძალში აღწერილი რამდენიმე მცენარის სახეობა და მის მიერ მოწყობილი დენდროპარკი, რომელიც ნაკრძლის (დაცული ტერიტორია) მიმდებარედ დღემდე არსებობს.



ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის (დაცული ტერიტორია) ცენტრალური შესასვლელი

1903 წელს ლაგოდეხის ხეობა იჯარით ქონდა გადაცემული რუს თავად სანტონადო დემიდოვს, წესები, რომელიც რუსმა თავადმა მისთვის გადაცემულ ტყეებზე დააწესა მკაცრი იყო. ამ ტერიტორიებზე ნადირობის უფლება მხოლოდ დემიდოვის ოჯახის წევრებს და მის სტუმრებს ჰქონდათ. ნადირობა, ხის ჭრა, საქონლის ძოვება და თიბვა ყველა დანარჩენისთვის აკრძალული იყო. რუსი თავადის მიერ შექმნილი მეურნეობა ნაკძალის ფუნქციას ასრულებდა.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალს (დაცული ტერიტორია) საქართველოში სხვა ნაკრძალებთან შედარებით არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის პირველი ფუძემდებელია კავკასიის ფლორის გამოჩენილი მკვლევარი პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩი და ბოტანიკოსი პროფესორი ნიკოლოზ კუზნეცოვი.



ნიკოლოზ კუზნეცოვი პეტერბურგის
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი


1912 წელს ამ ტერიტორიის ორი ხეობა–შრომის ხევი და ლაგოდეხის ხევი ნაკრძალად გამოცხადდა. მაგარმ მის დაცვას საფუძველი ჩაეყარა 1917 წლის შემდეგ. ლაგოდეხის ნაკრძალი ამჟამად (დაცული ტერიტორია) თავისი შინაარსით და პროფილით წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, იგი ამჟამად საუკეთესო ბაზაა საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო კვლევისა და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის.

ყოველწლიურად საზღვარგარეთის ქვეყნების ათასობით სპეციალისტი და ტურისტი ათვალთვრებს ნაკრძალის ლამაზ ბუნებას, მის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რომლის ბუნების სილამაზით შთაგონებული ბევრი საინტერესო სტრიქონებია ჩაწერილი შთაბეჭდილებების სქელყდიან წიგნში.




ლაგოდეხის ნაკრძალში ნინოს ხევის ჩანჩქერი

რაიონის ცენტრის 1 კილომეტრზე მდებარეობს სწორედ ეს დაცული ტერიტორია, რომლისკენაც ვაშლოვანის ქუჩის გავლით მიემართება ნაკრძალში შესასვლელი ცენტრალური ასფალტირებული გზა, რომელიც შორიდანვე იპყრობს სტუმართა ყურადღებას. დაცული ტერიტორიის შესასვლელი ადგილი გასულ წელს კიდევ უფრო კეთილმოეწყო და გალამაზდა.



2003 წელს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე შეიქმნა ორი დაცული ტერიტორია; ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი 22 266 ჰექტარი და ლაგოდეხის ადკვეთილი 1992 ჰექტარი. ლაგოდეხის დაცული ტერიტორია ახალი ტურიზმის სფეროს განვითარების მიზნით შეიქმნა, რომლის ძირითადი მიზანია ბუნების დაცვის პარალელურად სამეცნიერო საგანმანათლებლო მიმართულებაც.



იულის ფურისულა - ლ. მლოკოსევიჩის ერთ-ერთი ქალიშვილის სახელწოდება

შესასვლელ ამ ადგილიდან იწყება უზარმაზარი ცამდე აზვირთული ხეებისაგან შემდგარი ტყის მასივები, მწვანე მრავალნაირი ყვავილოვანი და ბალახოვანი საფარით. აქ არავითარი ხელოვნების სილამაზე არ შეედრება იმას, რაც ბუნებას თავისით შეუქმნია და წარმოდგენილია ლამაზი ბუნების სახით.



Prignula juliae
(Caucasus endemic)
© Sh. Eriashvili



Lilium szovitsianum.
© Sh. Eriashvili

მთის შროშანი




Pachyphragma macrophyllum.
© G. Darchiashvili

ლაგოდეხის ნაკრძალის (დაცული ტერიტორია) რელიეფი მის უმეტეს ნაწილში მრავალფეროვანია, მდიდარია მდინარეებით და მთის ნაკადულებით. ხეობებში მაღალი კლდოვანი ნაპრალებიდან მუდმივად გადმოჩქებს ჩანჩქერები, რომელთა მიდამოები

დაფარულია ბუნების ლამაზი მრავალნაირი მცენარეებით. ტყის მრავალნაირმა ყვავილებმა ჯერ კიდევ ადრე მეცნიერების და განსაკუთრებით უცხოელი სტუმრების დიდი ყურადღება მიიპყრო. აქ გავრცელებული ყვავილებიდან საინტერესოა: ცისტვალა, თეთრყვავილა, მთის შროშანი, ფურისულა, აქედან ერთ-ერთ ყვავილს ლუდვიგ მლოკოსევიჩის ქალიშვილის „იულიას ფურისულა“ ლაგოდების ნაკრძალში დღესაც მისი სახელწოდებითაა ცნობილი, იულიაც მამის მსგავსად სწავლობდა და აკვირდებოდა ლაგოდების ფლორას, მისდებდა ტყის ფრინველთა მოშინაურებას.

ნაკრძალის ტერიტორია, ხეობები და მთის კალთები დაფარულია ტყეებით, რომლებიც შეიცავენ მრავალ მერქნიან ჯიშებს, ხეებისა და ბუჩქების სახით. ტყეები აქ ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრ სიმაღლემდე აღწევენ და მათი გავრცელება უფრო ზევით შეზღუდულია კლიმატის თავისებური სიმკაცრის გამო. 1500 მეტრ სიმაღლის ზევით ტყის მასივები თანდათან ნაკლები ხდება და იწყება ბალახეული საფარი, ზოგიერთი ბალახი ორ მეტრამდეც აღწევს, ხოლო მრავალნაირი ყვავილოვანი მცენარეების სილამაზე მნახველზე მართლაც ზღაპრულ შთაბეჭდილებას ტოვებს.



მთავარი კავკასიონის ქედი დაღესტანის საზღვარი

ზღვის დონიდან 2000-2500 მეტრ სიმაღლეზე კლიმატი უფრო მკაცრი ხდება, რის გამოც მაღალი ბალახეული საფარი იცვლება და იწყება ალპური ზონა დაბალი ბალახეული საფარით, ბუნებას ამ ტერიტორიისათვის მკაცრი კლიმატის გამძლე მცენარეები შეურჩევია, ნაკრძალის მაღალი მთიანი ადგილები ხასიათდება ტენიანი კლიმატით, ცივი ზამთარი და მოკლე გრილი ზაფხული, ძლიერი ქარი იშვიათად იცის და მისი საშუალო წლიური სიჩქარე ლაგოდების ჰიდრომეტეოსადგურის მონაცემებით 1,1 მ/წამს არ აღემატება, იშვიათია ქარიშხალიც.



კავკასიური როჭო



კავკასიური არწივი

ნაკრძალის ტერიტორიის (დაცული ტერიტორია) რელიეფისა და მცენარეთა საფარის ასეთმა მრავალფეროვნებამ დაამკვიდრა ამ ტერიტორიაზე სხვა სიმდიდრეც, ცხოველთა მრავალფეროვნებაც, აქ გვხვდებიან 42 სახეობის მუქუმწოვარა ცხოველები, ჯოგებად გვხვდება ჯიხვი, კავკასიური არჩვი, კავკასიური ირემი, შველი, კავკასიური მურა, დათვი, ფოცხვერი, გარეული ღორი, მაჩვი, იშვიათად მგელიც და სხვა. ფრინველებიდან აღრიცხულია 120 სახეობის მტაცებელი და გარეგნულად ლამაზი მგალობელი ფრინველები.

ნაკრძალის ბუნების ამ სილამაზეს კიდევ უფრო ამკობს თავისი სილამაზით ტყის განუყოფელი ბინადარნი ირემი და შველი, ხოლო უფრო ზევით კლდეებიან ადგილებში გვხვდება ჯიხვი, კავკასიის მაჩვი და ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლები



კავკასიური ჯიხვები

ლაგოდების ნაკრძალის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრია მდინარეები, აქ რამდენიმე დიდი მდინარე მოედინება; მაწიმის წყალი, ლაგოდების წყალი, შრომის წყალი, ნინიგორის წყალი, აქვე მოედინებიან შედარებით პატარა მდინარეები და მათ შერქმეული აქვთ თავისი სახელები, სალესავის ხევის წყალი, ბნელი ხეობის წყალი და სხვა. ამ დიდი და პატარ მდინარეების სათავე იწყება ალპური მდელოებიდან და თავისი დინების გზაზე ქმნიან სხვადასხვა სიმაღლის ჩანჩქერებს, მოედინებიან დიდი დინებით და ხმაურით, ანკარა ნაკადულებში ბევრია კალმახი, ამ ტერიტორიაზე მრავლადაა გოგირდოვანი მინერალური წყაროებიც.

მეტად საინტერესოა და მნახველთა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მყინვარული წარმოშობის შავი მთის ტბა, რომელიც 25 ჰექტრამდე ფართობს აღწევს, ამ მიდამოებში განლაგებულია პატარ-პატარ ტბებიც.

ნაკრძალის ტერიტორიის სხვადასხვა სიმაღლეზე გავრცელებულია ტყის ხეთა ჯიშები: მუხა, ვერხვი, ლაფანი, რცხილა, წიფელი, ცაცხვი, თელა, წაბლი, იფანი, ლეკის ხე, მურყანი.


როცა უკვირდები ნაკრძალის ბუნების მრავალფეროვნებას, მისი მთების განლაგებას, ფიქრობ, ნუთუ რამ შექმნა ასეთი სილამაზე, მართლაც რა რთული და ძლიერია ბუნება. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის (დაცული ტერიტორია) ეს ბუნება იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ წიგნში ამ მასალის გამოცემის მიზანია, რომ ყოველ ადამიანში პოლონელი იქნება თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე ლაგოდეხელთა მეგობარი, გაადვივოს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის (დაცული ტერიტორია) ლამაზი და მდიდარი ბუნების ისტორიული წარსული.



ლაგოდეხის ნაკრძალი მდინარის ხეობა ზამთარში



მდინარე ლაგოდეხის ხევი



კავკასიის შავი კლდეების ტბა 25 ჰა. ზღვის დონიდან 3 000 მეტრზე

ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე შესაძლებელია შემდეგი სახის ტურების ორგანიზება:

1. ფრინველებზე დაკვირვება, 2. ლაშქრობები და ექსპედიციები, 3. ისტორიულ-კულტურული მოგზაურობა, 4. მოგზაურობა ფოტო მოყვარულთათვის, 5. სამოყვარულო თევზაობა, 6. ღია ცის ქვეშ კარვების გაშლა და ღამის თევა.



ლაგოდების ნაკრძალში სამმაგი ჩანჩქერი ტურისტების სასიამოვნო დასასვენებელი

ტურისტული მარშრუტები ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე.

1. ლაგოდების ჩანჩქერი---- მარშრუტი იწყება დაცული ტერიტორიის დირექციიდან, მიემართება მდინარე შრომის ხევის მარცხენა მხარეს, საფეხმავლო ბილიკით შედის ხეობაში და გზას ჩანჩქერამდე მიუყვება. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ ნახონ: ხელუხლებელი ფართოფოთლოვანი ტყე, სხვადასხვა სახეობის საუკუნოვანი ხეები, კლდეებიდან გადმონადენი წყაროები და მინერალური გოგირდოვანი წყლები, გზაზე შეიძლება შეხვდეთ; შველს, ირემს, გარეულ ღორს, დაინახოთ მდინარეში მცურავი კალმახი. (მარშრუტის სიგრძე 7 კმ. დრო 5-6 სთ).

2. გურგენიანის ჩანჩქერი---- მარშრუტი იწყება დაცული ტერიტორიის დირექციიდან სოფელ გურგენიანში, ნინოს ხევის ხეობის დასაწყისამდე, ავტომანქანითაც მიემართებიან, შემდეგ გზას აგრძელებენ ფეხით და ჩანჩქერამდე ვიწრო ბილიკს მიუყვებიან. გზად ვიზიტორები ნახავენ მრავალსაუკუნოვან ცაცხვის ხეს, კლდეებზე გამომდინარე ანკარა წყაროებს, შეიძლება შეხვდეთ: ირემს, შველს, გარეულ ღორს და მტაცებელ ფრინველებს. (მარშრუტის სიგრძე 8 კმ, დრო 7-8 სთ).

3. **მაჭის ციხე**---- მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის დირექციიდან, სოფელ მაწიმის უბნიდან და ბილიკით მიუყვება მდინარე მაწიმჩაის პარალელურად „მაჭის ციხემდე“ ვიზიტორს ეძლევა საშუალება დაათვალიეროს მე-7 საუკუნის პერიოდის არჩილ მეფის ძველი ციხე-ქალაქი გარშემორტყმული 1 მეტრი სიგანის გალავნით, პატარა ეკლესიით, მიწისქვეშა გასასვლელებითა და იმ დროს იქ მდგარი შენობების ნანგრევებით, აქ არის მიწის ქვეშ დარბაზები, რომლებიც გამოიყენებოდა მეფათა თავშესაფრად და დილეგებად. (მარშრუტის სიგრძე 4 კმ, დრო 3 სთ)

4. **შავი კლდეების ტბა**---- მარშრუტი იწყება დაცული ტერიტორიის დირექციიდან. ვიზიტორები პირდაპირ მიემართებიან ლაგოდეხის ჩანჩქერის მიმართულებით, შემდეგ ალპურ ზონას შავი კლდეების ტბის მიმართულებით, საფეხმავლო ბილიკით, შესაძლებელია ცხენებითაც, ღამეს გაათენებენ კარვებში (მეტესადგურთან) დილით დაიწყება მსვლელობა და დღის 2-3 საათზე იქნებით შავი კლდეების ტბაზე. (მარშრუტის სიგრძე 25 კმ)



ლაგოდეხის ტურისტული ბაზა, ნაკრძალის

ლაგოდეხის ნაკრძალისადმი ყურადღება შემდგომში კიდევ უფრო გაიზარდა 1947 წლის შემდეგ, როცა საქართველოში შეიქმნა ნაკრძალების სამმართველო რომლის ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, მასთან ერთად დიდი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესდნენ საქართველოს მეცნიერები პირადად აკადემიკოსი ვახტანგ გულისაშვილი. საქართველოს სხვა ნაკრძალებთან ერთად ლაგოდეხის ნაკრძალსაც ძალზე დიდი ყურადღება მიექცა, ყველა პირობა შეიქმნა აქ არსებული ისტორიული სიმდიდრის დაცვისათვის.

1986 წელს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში იყვნენ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ.სიტნიკი, საბჭოთა კავშირის ბოტანიკოს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ა.ტახტაჯიანი, 1985 წელს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი დაათვალიერეს ფინეთის ნაკრძალების და სატყეო მეურნეობების დელეგაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფინეთის ნაკრძალების გენერალური დირექტორი ტ. კორპეკა. 1982 წლის აგვისტოში ლაგოდეხის ნაკრძალის ღირსშესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციამ, ამერიკიდან პროფესორი ვ.სიბლი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფესორი ა.კალიში, იყვნენ აგრეთვე კანადის, შვეციის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების პროფესორები და აკადემიკოსები. 1984 წელს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში ჩატარდა დენდროლოგთა მსოფლიო კონგრესის კონფერენცია, იყო 70 კაცი

მ.შ. ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის ქვეყნების ბოტანიკური ბაღების და სამეცნიერო დაწესებულებების აკადემიკოსები და პროფესორები, ნაკრძალის შთაბეჭდილებების წიგნში თავიანთი ჩანაწერები გააკეთეს ყოფილი ჩეხოსლოვაკიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. იარომირმა, ვარშავის ბოტანიკური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ლ. სტუსლიკი და სხვა გამოჩენილი მეცნიერების მიერ.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ფლორის, ფაუნის და ალპური ნიადაგების საკითხებზე დაცულია 15-დე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს და ამჟამად ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ-კორესპოდენტს თენგიზ ურუშაძეს სადოქტორო ნაშრომში სხვა მასალებთან ერთად წარმოდგენილი აქვს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ალპური ნიადაგების თვისებები და მათი კავშირი ტყის მცენარეებთან. საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის გიორგი ნახუცრიშვილს საკანდიდატო დისერტაციაში მოცემული და შესწავლილი აქვს ლაგოდეხის ნაკრძალის მაღალ მთიანეთის მცენარეული თავისებურებები.

ერთი ეპიზოდი რუსი თავადის სანტონადო დემიდოვის ლაგოდებში ცხოვრების წარსულიდან



რუსეთის მეფის მთავრობის განგარკულებით 1903 წლიდან 1917 წლამდე ლაგოდების ნაკრძალის ეს ტერიტორია იჯარით ჰქონდა აღებული ვინმე რუს მდიდარ თავადს სანტონადო დემიდოვს, ტყეს ემსახურებოდა 10-დე ეგერი, რომელთა უმრავლესობა იყვნენ თუშები, მას აუშენებია ტყის მცველებისათვის ცპეციალური სახლიც. იგი ამავე დროს იცავდა ამ ტყეს.

როგორც ლიტერატურულ წყაროებშია მოცემული ნადირ-

ფრინველი აქ რამდენიმე წელში ისე მომრავლებულა, რომ ს. დემიდოვი აღიარებული ყოფილა ამიერკავკასიაში პირველ სანადირო მეურნეობის მფლობელად. ლუდვიგ მლოკოსევიჩი და სანტონადო დემიდოვი ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს და ლაგოდების ამ შესანიშნავი ბუნების, მდიდარი ფლორის და ფაუნის შესახებ მოსაზრებებს ხშირად უზიარებდნენ.

ს. დემიდოვმა სამოქალაქო ომის პერიოდში ლაგოდების ეს ტერიტორია, რომელიც აღებული ჰქონდა იჯარით მიატოვა და ეს ღირსშესანიშნავი ადგილი სრულიად უპატრონოდ დარჩენილა. ხოლო 1929 წლიდან ეს ტერიტორია 4500 ჰექტრამდე ისევ გამოიყო ნაკრძალად, ხოლო 1935 წლიდან საქართველოს სახკომსაპკოს და ცაკის და დადგენილებით ლაგოდების ნაკრძალი რეორგანიზებული იქნა და გამოცხადდა სრულ (კომპლექსურ) ნაკრძალად 13 000 ჰექტრამდე.

სანტონადო დემიდოვი რუსი მდიდარი თავადი ლაგოდებში ცხოვრობდა 1900-იან წლებში, როცა მას იჯარით ჰქონდა აღებული ლაგოდების მთის ტყეები, მისი ერთ-ერთი შვილისშვილი, ამჟამად ცხოვრობს ლაგოდების რაიონის სოფელ კართუბანში (ბოლოკიანი) დაბადებული 1953 წელს (ანატოლი დემიდოვი ანუ ამჟამად ტარიელ წიქარიშვილი) ასეთია ამ პიროვნების დღემდე გავლილი ცხოვრების მოკლე ისტორია.

სანტონადო დემიდოვის ერთ-ერთი შვილი პეტრე დემიდოვი 1948-50 იან წლებში ცხოვრობდა ლაგოდების რაიონის სოფელ მსხალგორში, ლაგოდებში კაბალგესის მშენებლობის პერიოდში მუშაობდა მთავარ ინჟინრად, ძირითადად მისი უშუალო მონაწილეობითაა დამონტაჟებული ამ გესის დანადგარები.

მისი მეუღლე ყოფილა ლაგოდებელი ჟენია შველიძე, ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი ანატოლი და ვალერი დემიდოვები. პეტრე დემიდოვს 1954 წელს მიუტოვებია ოჯახი, მცირე წლოვანი ბავშვები და წასულა საცხოვრებლად რუსეთში. 1957 წელს 28 წლის ასაკში გარდაცვლილა ბავშვების დედა ჟენია შველიძე, მოხუც ბებიას ბავშვები გაუშვილებია ვალერი სოფელ ცოდნისკარში ----- ოჯახში, ხოლო ანატოლი სოფელ კართუბანში (ბოლოკიანი) გრიგოლ წიქარიშვილის ოჯახში და შეუცვალეს ნამდვილი გვარი და სახელი, გახდა ტარიელ გრიგოლის-ძე წიქარიშვილი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს მათი გამზრდელი მშობლების ბინაში სოფელ ბოლოკიანში.

თავი 3

ლაგოდების და საინგილოს ისტორიულ კულტურული ძეგლები

ლაგოდების რაიონი საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესი რეგიონია, როგორც ადმინისტრაციული ერთეული (რაიონი) 1930 წლის იანვრიდან არსებობს, ლაგოდების რაიონი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთით- მდინარე ალაზანი. აღმოსავლეთით- აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით-ყვარლის რაიონი.

დღევანდელი ლაგოდების რაიონი ნაწილია უძველესი საქართველოს იმ დიდი რეგიონისა ჰერეთი, რომ ერქვა, უხსოვარი დროიდანვე აითვისეს ეს მაღლიანი მიწა ქართველმა ტომებმა და დაიწყეს სოფლის მეურნეობის განვითარება, რასაც ადასტურებენ მატერიალური და კულტურული დღემდე შემორჩენილი ძეგლები, რომელიც უხვად გვხვდება

ლაგოდების რაიონსა და საინგილოში ამჟამად (აზერბაიჯანის რესპუბლიკა)

წიგნის ამ ნაწილში პოლონელ მკითხველს, ლაგოდებში ჩამოსულ ტურისტებს მიიწოდებოდა მოკლედ გავაცნო არქეოლოგთა მიერ ლაგოდების რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მოკვლეული მასალები. მეფე პოეტების, თეიმურაზის და არჩილ ბაგრატიონების, ასევე იოანე და ვახუშტი ბატონიშვილების ლიტერატურულ ნაწარმოებებიდან და ისტორიულ გეოგრაფიულ ნაშრომებიდან მოცემულ საინტერესო მასალებს, რომლებშიც აღწერილია ჰერეთისა და კახეთის, მდ. ალაზან გამოღმა ლაგოდების ისტორიულ ძეგლებს და ტოპონიმებს.



ლაგოდების რაიონი, სოფელი მაწიმი მაჭის (თოღას) ციხე ეკლესია VII საუკუნე



ლაგოდეხის რაიონი სოფელი არემფერანი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ხომატიანი XVII საუკუნე

ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე 1990 წლამდე მიკვლეულია და აღრიცხულია მე-7 საუკუნიდან 50-ზე მეტი ისტორიული ძეგლები, ციხე-სიმაგრეებისა და ტაძრების სახით. აქედან ჰერეთის ისტორიული პერიოდის ძეგლებს მიეკუთვნებიან ლაკუასტისა და ტრაწაყალის ციხე-სიმაგრეები, ლაგოდეხის სამონასტრო კომპლექსი, მაჭის (თოლას) ციხე ეკლესიითურთ, სოფელ კართუბნის ციხე-სიმაგრე, სოფელ თელის გორაზე შემორჩენილი ციხე-გალავანი, ეკლესიის ნანგრევები სოფელ ჭიაურის ტერიტორიაზე, სოფელ მაწიმისა და კაბლის ხეობებში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც მე-8 საუკუნით თარიღდებიან.

ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლებიც. მათ შორის ინტერესს იწვევს სოფელ ლელიანის წმიდა თედორეს 10-11-ე საუკუნეების, ფონის სამების 17-ე საუკუნის, არემფერანის ხომატის 17-ესაუკუნის ტაძრები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჰერეთის მთლიან ტერიტორიაზე და კონკრეტულად ლაგოდეხშიც მიუხედავად მტრის მრავალგზის შემოსევებისა, ამ ადგილებში ქართველი ხალხი მედგრად განაგრძობდა ცხოვრებას და მამაცურად იცავდნენ ქვეყანას მრავალი შემოსევებისაგან.



ლაგოდეხის რაიონი, სოფელ კართუბნის
ციხე-სიმაგრე XVI-XVII საუკუნე



სოფელ ცოდნისკარში (თელა) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია 1997 წელი

ლაგოდეხის რაიონში წინა საუკუნეების ისტორიულ ძეგლებს ბოლო 10 წელიწადში კიდევ შეემატა რამდენიმე ახალი ეკლესია, სოფელ ცოდნისკარში თელაზე წმინდა გიორგის სახელობის, ლაგოდეხის ცენტრში სამების ეკლესია, რომელიც საქართველოს პატრიარქის ილია 2-ს მიერ იქნა კურთხეული. სოფელ კართუბანში წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, სოფელ გიორგეთში და სოფელ გურგენიანში აშენდა ახალი ეკლესიები.



სოფელ კართუბანში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია 2008 წელი

ლაგოდეხის რაიონის ისტორიის შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს 1970-იან წლებში ჩემი ლაგოდეხის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს შექმნილ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს პარტიის რაიკომთან ერთად, განყოფილების გამგის ისტორიკოსს შოველი კაკანაძის დიდი დახმარებით. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილია მთელი რაიონის საინტერესო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატები, რომელიც გაბნეული იყო სკოლებში და ცალკეულ ოჯახებში, აქ არის ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდეხში ცხოვრების და მოღვაწეობის ფოტოსურათები, მისი დროინდელი ჩანაწერების სარქივო მრავალი საინტერესო მასალები ლაგოდეხის ნაკრძალთან დაკავშირებით. აგრეთვე ნაკრძალის ადმინისტრაციულ შენობაში მოწყობილია ლ. მლოკოსევიჩის და ნ. კუზნეცოვის ფოტოსურათების გამოფენა.

ლაგოდეხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთებიდან საინტერესოა პატარა თასები, რომლებიც სარიტუალო დანისნულებისა უნდა ყოფილიყო, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სამფეხა თასები, თუნგები, ქოთნები და დერგები. ამ დარგის პეციალისტები არქეოლოგები, ალაზნის ველის ასეთ კერამიკას მიაკუთვნებენ ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს.


ქართველი ისტორიკოს-არქეოლოგი მეცნიერები როცა ალაზნის ველის კერამიკას განიხილავენ, ასაბუთებენ, რომ ამ კერამიკის მქონე ხალხს კარგად ჰქონიათ განვითარებული მიწათმოქმედება. იცოდნენ ვაზის მოვლაც, რაზეც მიგვითითებს მთელი რიგი სხვადასხვა საღვინე ჭურჭელი. მისდევდნენ მესაქონლეობასაც, აქედან ჩანს, რომ ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ლაგოდეხის ტერიტორიაზე საკმაოდ მაღალი მატერიალური კულტურის მქონე ხალხს უცხოვრია.



ლაგოდების რაიონი სოფელ ლელიანში წმინდა თედორეს სახელობის ეკლესია X-XI საუკუნე

ლაგოდების შესახებ საინტერესო წერილობითი ცნობებია არწერილი „ქართლის ცხოვრება“ში, აქ იხსენიება ნუხპატის ხეობა, რომელსაც ახლა მაწიმის ხეობა ეწოდება და მდებარეობს ლაგოდების რაიონში. ეს ცნობები მიეკუთვნება ადრეფეოდალურ ხანას და ეხება ამ ხეობაში ქრისტიანობის გავრცელებას. ეს უკავშირდება არჩილ მეფეს (688-718 წწ) რომელმაც „ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატის ორთა წყალთა შუა“

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ჰერეთ-კახეთისა და კერძოთ საინგილოს მკვლევარი მოსე ჯანაშვილი თვით საინგილოს მკვიდრი, იგი შემდეგნაირად ასაბუთებს, რომ „ ლაგოდები არის ცვლილება მის თავდაპირველი სახელისა ლაკვასტი, აღსანიშნავია ისიც, რომ შემდეგ აქ არსებულ ლაკუასტის ციხე-სიმაგრესა და მონასტერს ლაგოეთს და ლაგოდებს უწოდებდნენ. ლაგოდები ქართული წარმომავლობისაა და აქ ქართველთა დასახლების ისტორიას ასახავს. ხოლო, რაც შეეხება 1830 წლიდან ლაგოდებში არსებული რუსული ჯარის ოფიცრების მიერ, რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, ლაგოდები დაერქვა ვითომ „ლაგირ ოტდინას“გამო ეს არასწორი და მცდარი მოსაზრებაა.




აზერბაიჯანის რესპუბლიკა, კაკლის ხეივანი
საინგილოსკენ მიმავალ გზაზე

ლაგოდების რაიონში კულტურის ძეგლთა სიმრავლეს სახელოვანი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს, რომ ლაგოდების ტერიტორიაზე მდებარე ძეგლთაგან რიად საყურადღებოა მეფეთა სასახლე თოღა, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში ხშირად თორღვადაც იხსენიება. რომელიც მე-7 საუკუნეში არჩილ მეფის დროს აშენდა. იგი მდებარეობს ორი ხევის შესაყართან, მისი ფართობია 3,5 ჰექტარი. მეფეთა სასახლის ქვევით მიწაში ოთახებია ძლიერი სვეტებით, რომელიც გარკვეულ პერიოდში, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, კახეთის მეფეთა დილეგს (თავშესაფარს) და ტყვეთა (საპატიმროს) წარმოადგენდა.

მეტად საინტერესო ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს ხოშატანის ეკლესია, რომელიც გვიან ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება, მისდამი ინტერესს ამლიერებს ის ფაქტიც, რომ მის სახელწოდებასთან არის დაკავშირებული ფრიად საინტერესო ლეგენდა, რომელიც ხოშატის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ეკლესია მდებარეობს სოფელ არეშფერანის ტერიტორიაზე. მეტად საინტერესოა, ის რომ როგორ მოუკლავს გველეშაპი თავდადებულ და უძლიერეს ვაჟკაცს ხოშატს, რის შედეგადაც გაუნთავისუფლებია ხალხი მტარვალისაგან. ეს ყოფილა ისეთი გველეშაპი, რომელიც ხალხსაც ჭამდა და საქონელს. გველეშაპი მოუკლავს ხოშატს, მაგრამ მისი შხამით თვითონ დაღუპილა, მის საპატივცემულოდ ამ ადგილზე აუშენებიათ ეს ეკლესია და ამიტომ დაერქვა მისი სახელი. ხოშატი ყოფილა ისეთი ძლიერი, რომ ვეფხვებს იჭერდა ცოცხლად, ხოლო ლომებს აბამდა ყბებით.

ლაგოდების ნაკრძალისაკენ მიმავალ ცენტრალურ ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას დღემდე შემორჩა ვაშლოვანის სახელი და ამ ქუჩასაც ვაშლოვანი ეწოდება. რაც დაკავშირებულია იაკობ გოგებაშვილის ერთ-ერთ ნაწარმოებთან „იავნანამ რა ქმნა“




აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საინგილო, ყოფილი ქალაქ ზაგემის (ზაზრის) ღვთისმშობლის ტაძარი, აშენებულია კახეთის მეფე ლევანის მიერ. XVII საუკუნე

თბილისიდან ლაგოდეხში მიმავალ გზაზე ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარეობს პირველივე სოფელი ჭიაური (ჰერეთისკარი) თავისი ასწლოვანი ბერძენებით, რომლებიც დღემდე მცირედ შემორჩა, დილიდან საღამომდე არ წყდება ამ მუხების ფოთლების შრიალი, რომლებიც გარდასულ დღეთა ამბებს უყვებიან ერთმანეთს.

ჰერეთის მიწის თვითეული გოჯი ქართველი ხალხის უტყუარი მემკვიდრეა, დღეს ამაზე დიდი დანაშაული თითქმის არ არსებობს, რომ ისტორიულად საქართველოს გამგებლობაში ეს უძველესი ჰერეთის დიდი ნაწილი ქ. ნუხამდე, რომელიც მ-7 საუკუნიდან ჰერეთის სატახტო ქალაქი იყო, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში (1921 წელი) აღმოჩნდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ლაგოდეხს, რომელიც მოსაზღვრე რაიონია ტრადიციად ქცეული და გულთბილი მეგობრობა დღესაც აკავშირებს ინგილოებით დასახლებულ ზაქათლის, კახის და შაქის (ნუხის) რაიონების მოსახლეობასთან.

საინგილოში ნუხი და ზაქათალა მრავალი შემოსევების ქალაქია, ეს იყო შამილის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი, რომლის უტყუარ მოწმეს დღეს ძველი ციხე-სიმაგრეები წარმოადგენენ. სოფლებში, მაღალ მთებსა და კლდეებში მრავლად შეხვდებით გამოქვაბულებს, დანგრეულ ეკლესიებს და მონასტრებს, ციხე-სიმაგრეთა ნაშთებს, ნასოფლარებს; (ლოქართის მონასტერი, ქურმუხის ეკლესია, კასრის საყდარი, თამარის ციხე, თამარის არხი, კახისა და ალავერდის ეკლესიები).



აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საინგილო, ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი (გიმ-ქურმუხის ეპისკოპოსის რეზიდენცია) XVIII საუკუნე

საინგილო დღეს საოცრად ულამაზესი და უმშვენიერესი მხარეა ჰერეთის ძირძველ მიწაზე, დაბურული ტყეებითა და ცამდე აზვირთული მთებით, გაშლილი ველ-მინდვრებით, ნოყიერი ბარაქიანი მიწებით. საინგილოს ამ პატარა მიწას და აქ მცხოვრებ ხალხს მტრობის, შიშის, დაცემის ბევრი საშინელი დღეები ახსოვთ, მაგრამ მაინც საქართველოს გვერდით დგას და ქართული სიტყვისა და სულის ძალას სათუთად ინახავენ. აზერბაიჯანის დღევანდელი ხელისუფლება დღესაც ავიწროებს ინგილო მოსახლეობას, მათ ეროვნებას, ხოლო ლაგოდეხში და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობა კომფორტულად და მშვიდად გრძნობენ თავს.

კარგი იქნება პოლონელმა სტუდენტებმა და უფროსი თაობის სამეცნიერო დარგის მოღვაწეებმა, ლაგოდეხში ჩამოსვლის დროს, რომ მოინახულონ საინგილოს ეს ულამაზესი მხარე და მისი ისტორიული ძეგლები

მეტად საინტერესოა, რომ ბულგარელი მწერალი ი. ვაზოვი თავის წიგნში ქართველი ხალხის შესახებ წერს; „საკმარისია თუდაც ერთი თვალის გადავლება საქართველოს ისტორიისა, რომ მკითხველი გააოცოს ამ პატარა ერის მხნეობამ, იმ ერისა, რომლის სიცოცხლე ხშირად ბეწვზე ეკიდა და უკიდურეს პირობებში იყო ხოლმე. ქართველი ხალხი ოცი საუკუნის განმავლობაში უმკლავდებოდა და ეომებოდა აურაცხ მტერს. ქართველი ერი მარად ცოცხალი რჩებოდა, იმდენი უბედურების შემდეგ მაინც იცავდა თავის ენას და ეროვნულ ღირსებებს, იმ დროს როდესაც ბევრი უძლიერესი სახელმწიფო აზიისა დედამიწის პირიდან საერთოდ აღიგავნენ, ქართველი ერი კი მტკიცე ვითარცა სალი კლდე კავკასიისა ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა”

თ ა ვ ი 4

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის წარსული და დღევანდელი

როგორც მრავალ ლიტერატურულ წყაროებშია მოცემული პირველი რეალური კონტაქტები საქართველო-პოლონეთის ქვეყნის ურთიერთობისა და ქართველ-პოლონელ ხალხებს შორის მე-19 საუკუნის მიწურულს დამყარდა.

1495 წელს ლიტვის დიდი მთავრის ალექსანდრეს, რომელიც შემდგომ პოლონეთის მეფე გახდა, კარს სტუმრებია ქართლის მეფის კონსტანტინე 2-ს ელჩი ბერი კორნელი.

ქართულ-პოლონურ ურთიერთობას კიდევ უფრო აახლოებს ის გარემოება, რომ 1774 წელს პოლონეთის პირველი დაყოფის შემდეგ ერეკლე მეფემ მიიღო საქართველოში 1000-მდე გამოქცეული პოლონელი ოჯახი.

მთავრობამ გადმოსახლა რამდენიმე ათასი პოლონელი საქართველოში. 1851 წელს პოლონეთის აჯანყების მზადებაში მონაწილეობისათვის, როგორც იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლუდვიგ მლოკოსევიჩს თანამონაწილეებთან ერთად რუსეთის იმპერიის მთავრობამ ჯერ დახვრეტა მიუსაჯეს, ხოლო მისი დედის თხოვნით შეიწყალეს და 19 წლის მუშაობაში ყმაწვილი კავკასიაში გადმოსახლეს, მიაშწესეს რუსეთის ჯარის თბილისის გრენადერთა პოლკში, რომელიც მაშინ ლაგოდებში იყო განლაგებული.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოში გადმოსახლებული ოჯახები მეგობრულად იყვნენ მიღებული, ორივე ერი კიდევ უფრო დაახლოვა რუსეთის იმპერიის ექსპანსიონიზმმა, მათი ციმბირში და კავკასიაში გადასახლებამ.

მე-17 საუკუნის დასაწყისში გაცილებით მეტი რამაა ცნობილი პოლონეთ-საქართველოს შორის არსებულ კონტაქტებზე, როდესაც საქართველომ პოლონეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. იმ პერიოდში პოლონეთიდან საქართველოს სტუმრობდნენ დიპლომატები და ვაჭრები. ხშირი იყო აგრეთვე ქართველების დასახლებაც პოლონეთში, სადაც ისინი ეწეოდნენ დიპლომატიურ, სამეცნიერო და სამხედრო საქმიანობას.

მე-19 საუკუნის დასაწყისში როდესაც, როგორც საქართველომ ისე პოლონეთმა დაკარგეს თავისი სახელმწიფოებრიობა და მათზე მეფის რუსეთი გაბატონდა, ამ ორ ხალხს უფრო აახლოებდა რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლების საერთო მიზნები.

გამოჩენილი პოლონელი მწერალი სტეფან ჯერომსკი წერს 1863 წლის ცნობილი პოლონეთის აჯანყების მონაწილე პოლონელთა მდგომარეობას ციმბირში, რომ კატორღაში მყოფ პოლონელს ყოველთვის ქართველი ედგა გვერდით, რომლებიც აჯანყებული პოლონელის მსგავსად იზიარებდნენ ციმბირში გადასახლებულის მწარე ხვედრს, ციმბირში ასეთ პირობებში აღმოცენებული მეგობრობა კი უაღრესად მტკიცე იყო.

მომახლოებ პოლონელებს რუსეთის მეფის მთავრობა არა მარტო ციმბირში, არამედ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ასახლებდა, აქ იხდიდნენ მკაცრი რეჟიმის ქვეშ თავის სამხედრო ვალდებულებას რუსეთის ჯარში მომსახურე, როგორც ოფიცრები ასევე მრავალი რიგითი პოლონელი ჯარისკაცი, ერთ-ერთი მაგალითიც ლუდვიგ

მლოკოსევიჩის ცხოვრება და მოღვაწეობაა ლაგოდებში (1851-1909) წლები, რომელიც რვა წელი რუსის არმიაში მსახურობდა მკაცრი ზედამხედველობით, როგორც პოლონეთში აჯანყების მზადებაში ახალგაზრდობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილე. ამავდროულად, გადასახლებილი ქართველებიც მსახურობდნენ რუსეთის ჯარში პოლონეთის ტერიტორიაზე, ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ ბევრი მათგანი რჩებოდა პოლონეთში სწავლობდა პოლონეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თავიანთი ისტორიითა და გეოპოლიტიკური მდგომარეობით საქართველო და პოლონეთი ჰგავს ერთმანეთს, რუსეთის ცარიზმის წისქვილის ქვეშ შორის მოქცეული ეს ორი ქვეყანა თავისი ფიზიკური არსებობის გადარჩენის მიზნით, დიდ ძალისხმევას ახმარდა ერთმანეთს შორის ურთიერთ კავშირების დამყარებასა და განმტკიცებას.

სწორედ ამ წიგნის გამოცემის იდეაც წარმოიშვა პოლონურ ენაზე იმისათვის, რომ 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო განვამტკიცოთ ქართველი და პოლონელი ხალხების წარსულში დაწყებული ურთიერთობა. ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდებში განვლილი ცხოვრების და მოღვაწეობის 58 წელი, ალბათ ეს გახდება ერთ-ერთი საფუძველი ლაგოდებელი და პოლონელი მომავალი თაობების დაახლოებისათვის. იმ დაფასებისა და ღვაწლისათვის რაც 19 წლის პოლონელმა ყმაწვილმა ლაგოდებში მოღვაწეობის დროს შესძლო. მისი ღვაწლი და ლაგოდებში განვლილი ცხოვრება კიდევ უფრო უნდა განაზოგადონ და გაითავისონ პოლონელმა მეცნიერ-მუშაკებმა და სტუდენტებმა.

პოლონელმა ემიგრანტმა ლ. მლოკოსევიჩმა შეიყვარა და შეისისხორცა საქართველო, კერძოთ ლაგოდები, რომელმაც თავისი ახალგაზრდობის ცხოვრების შემოქმედებითი ცხოვრება ლაგოდებში გაატარა. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი დღევანდელი ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის (დაცული ტერიტორია) შექმნაში, რომელიც ყველაზე უძველესია საქართველოში არსებული ნაკრძალებს შორის.

ლაგოდების საზოგადოება, რაიონის ხელისუფლება და ნაკრძალის დირექცია როდესაც ვხედავთ და ვგრძობთ წარსულში თუ რა დიდი სიყვარული და მზრუნველობა გამოხატა პოლონელმა ემიგრანტმა ლ. მლოკოსევიჩმა ლაგოდების მთის ტყეების ნაკრძალად აღიარების საქმეში, ეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი ლაგოდებისადმი ესოდენ დიდი სიყვარული წარმოჩნდა რუსეთის ცარიზმის მიერ მისი ცხოვრების წაღმა-უკუღმა ტრიალის გამო.

1921 წლიდან როდესაც ქართველები მასობრივად მოხვდნენ პოლონეთში, მათთვისაც ეს ქვეყანა მეორე სამშობლოდ იქცა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა, აღორძინებული პოლონეთის და დამოუკიდებლობა მოპოვებული საქართველოს შორის არაოფიციალური ურთიერთობის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1918 წლის მეორე ნახევარი. პოლონეთის მაშინდელმა მთავრობამ გადაწყვიტა საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება და ამ მიზნით საქართველოში გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი ვაცლავ ოსტროვსკი დიპლომატიური მისიით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის, გერმანიის, სპარსეთის, რუსეთის და საფრანგეთის გარდა, არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა ისეთი სერიოზული, მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ემიგრაცია, როგორც პოლონეთში იყო.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცების პერიოდი განსაკუთრებით აღსანიშნავია 2000 წლიდან, როდესაც საქართველოში შეიქმნა პოლონეთის ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა საელჩო და საკონსულო, საელჩოს პირველი ელჩი იყო ბატონი პეტერ ბორავსკი, მას როცა გადავეცი ქართულ ენაზე ჩემი გამოცემული წიგნი „პერეთის მადლიანი მიწა“ რომელშიც მოკლედ მაქვს აღნიშნული პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდებში

გადმოსახლების განვლილი 58 წელი და მისი ღვაწლი დღევანდელი ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის პოპულარიზაციის საქმეში, ბატონი ელჩი ძალიან დაინტერესდა და რამდენჯერმე ჩამოვიდა ლაგოდეხში საელჩოს თანამშრომლებთან ერთად.

ამჟამად ლაგოდეხში ცხოვრობს 68 პოლონური წარმოშობის ოჯახები ასეთი გვარების; ველენგურსკი, ტიშკევიჩი, კაშინსკი, ცებრი, კარჩევსკი, სოკოლოვსკი, შტატსკი, ფრანჩუკი, ვოევოდა, სინეცკი, პოპოვიჩი, კვოკი, შებელი, ბელანოვი, ცებულსკი, ტარაბეცკი, იასტრეხსკი, ბერეხოვსკი, გერასიმჩუკი, მოლჩანოვი, ქშევსკი, ბაზიკი, კორჩინსკი, დობრონეცკი. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლეონიდ დობრონეცკი, რომელიც 38 წელი მუშაობდა ლაგოდეხის რაიონში კოლმეურნეობის



ლაგოდეხში სოციალისტური შრომის გმირებთან შეხვედრა. 1971 წელი.
მარცხნიდან მესამე პოლონელი ლეონიდ დობრონეცკი, წიგნის ავტორი ჯემალ ხაჩიძე.
მარჯვნიდან პირველი ჯონი ეგეტაშვილი რაიკომის მუშაკი

თავმჯდომარედ, იყო სოციალისტური შრომის გმირი და მრავალი მედლის მფობელი, იყო ორი მოწვევის საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრი და სამჯერ საქართველოს საქართველოს ცეკას წევრი, მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობა ყოველთვის იყო რესპულიკაში მოწინავე. საელჩომ პოლონელ ოჯახებებს გაუწია ფულადი დახმარება, რაც მათთვის ძალზე სასიხარულო იყო.

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოში პოლონეთის ყოფილი ელჩის იაცეკ მულტანოვსკის დაინტერესებაც, 2003 წელს ლაგოდეხში რამდენჯერმე სტუმრობდა, 22 ივლისს ჩავატარეთ სამეცნიერო კონფერენცია „ლუდვიგ მლოკოსევიჩის როლი ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის პოპულარიზაციის საქმეში“ ბატონმა ელჩმა თავის მეუღლესთან და საელჩოს თანამშრომლებთან ერთად ყვავილებით შეამკეს ლ.მლოკოსევიჩის საფლავი. მასთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე რეზო დონაძე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ერთი არასასიმიოვნო ფაქტი, რომ პოლონეთის ახალი ელჩი ქალბატონი ურშულა დოროშევსკა როდესაც ჩამოვიდა საქართველოში

2008 წლის ნოემბერში მას გადავეცი ლ.მლოკოსევიჩის წარსულ ისტორიის მასალები და პოლონურად 2009 წლის 22 ივლისისათვის ჩასატარებელი ღონისძიებაბის გეგმა. შესახებ, მისი ლაგოდებში განვლილი ცხოვრების გზას, ძალზე დინტერესდა ქ

ლაგოდებში 2007 წელს პოლონეთიდან ჩამოსახლდა იეჟი ჩემნოლონსკი, რომელმაც შეისყიდა რაიონის ცენტრში ორ სართულიანი კაპიტალური საკუთარი ბინა, დაიწყო ქართული წესით ცხოვრება, დაუმეგობრდა რაიონის საზოგადოებას, მეზობლებს, თავის სახლში მოაწყო ლუდვიგ მლოკოსევიჩის საპატივცემულოდ „პოლონური სახლი“ მის სახლზე გამოკიდებულია ქართული და პოლონური დროშები, პოლონეთიდან ჩამოსული ტურისტები ყოველთვის სტუმრობენ მას, ესეც არის ერთ-ერთი დადასტურება ქართველი და პოლონელი ხალხების ბეგობრობისა.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა განსაკუთრებით გაღრმავდა 2007-2008 წლებში, მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველოს მიმართ წამოიწყო მორიგი ღია აგრესია, სამაჩაბლოში დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ სამოქალაქო ომი, ამ პერიოდში პოლონეთის ელჩი ბატონი ლეხ კაჩენსკი ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში ქართველი ხალხის თანადგომისა და მხარდასაჭერად.

ამრიგად ქართველი და პოლონელი ხალხების ხუთსაუკუნოვანი სამაგალითო ურთიერთობა დღესაც დიდი პატივისცემით გრძელდება. ამას ქართველი და პოლონელი ახალგაზრდები შემდგომშიც გააგრძელებენ, უნდა განახლდეს ლაგოდებელი და პოლონელი ბიზნეს პარტნიორობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

თავი 5

სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ლაგოდეხში 2003 წელი 22 ივლისი

ბევრჯერ მიფიქრია თუ რამდენი აქვს საერთო პოლონეთისა და საქართველოს მღელვარე, მაგრამ გაუტეხელ ისტორიას. თითქოს განგებამ განგვაწესა ერთი ევროპის კარის გუშაგად, მეორე კი--კავკასიისა და მთელი წინა აზიის მხარეს, ისტორიაც გაუტეხელი გვაქვს და ხასიათიც.

1998 წლიდან როდესაც საქართველოში შეიქმნა პოლონეთის საელჩო მაშინ მომიხდა საქმიანი ურთიერთობა ელჩთან ბატონ პეტერ ბორავსკისთან და საელჩოს თანამშრომლებთან. როცა მე გადავეცი მათ ჩემი გამოცემული წიგნი „ჰერეთის მადლიანი მიწა“სადაც მოკლედ აღწერილი პოლონელი ლ. მლოკოსევიჩის ლაგოდეხში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია, ძალიან დაინტერესდა ბატონი ელჩი და რამდენიმე ხანში ჩამოვიდა ლაგოდეხში მისი საფლავის სანახავად და ნაკრძალის დასათვალიერებლად.


პოლონეთის საელჩო, როგორც პირველი ელჩი რეტერ ბორავსკი ისე მეორე ელჩიც იაცეკ მულტანოვსკი თავიანთ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ, მეფის რუსეთის დროს აქ გადმოსახლებული პოლონელი მოღვაწეების შემოქმედებას და მათი ნაკვალევების შესწავლა-პროპაგანდას. ძირითადად ესენი ვარშავის აჯანყების მონაწილენი იყვნენ, მათგან ბევრი პოლონური ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი იყო, რომლებიც ამჟამად ლაგოდეხში 65 ოჯახი ცხოვრობს. პოლონელი ლეონიდ დობრონეცკი 45 წელი ლაგოდეხის რაიონში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, იგი მრავალი ორდენების მფლობელი იყო და ბოლოს სოციალისტური შრომის გმირობის წოდებაც მიიღო.

2003 წლის 22 ივლისს ლ. მლოკოსევიჩის გარდაცვალების დღეს ჩემი ინიციატივით ლაგოდეხის გამგეობასთან ერთად ჩავატარეთ სამეცნიერო კონფერენცია

”ლუდვიგ მლოკოსევიჩის როლი ლაგოდეხის ნაკრძალის პოპულარიზაციის საქმეში” სადაც ესწრებოდა პოლონეთის საელჩოს მაშინდელი ელჩი იაცეკ მულტანოვსკი საელჩოს თანამშრომლებთან ერთად. ისინი შეხვდნენ ლაგოდეხში მცხოვრები პოლონელი ძველი ოჯახის მოხუც თაობას და ახალგაზრდებს, ახალგაზრდობის ბევრმა წარმომადგენელმა სურვილი გამოთქვეს პოლონეთში ცხოვრებაზე და ძველი ნათესაობის მოძიებაში.



ლაგოდეხი 2003 წელი შეხვედრა ლაგოდეხის შესასვლელში მარცხნიდან ჯემალ ხაჩიძე, რევაზ დონაძე, მზია ჯაფარიძე, პოლონეთის ელჩი იაცეკ მულტანოვსკი მეუღლესთან ერთად



საქართველოში პოლონეთის პირველი ელჩი პეტერ ბორავსკი 2000 წელი

ეს დღე მართლაც განსაკუთრებული დღე იყო ლაგოდეხში მცხოვრები პოლონელებისათვის, საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეგიონებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ბატონი რევაზ დონაძე.



შეხვედრა კონფერენციის მონაწილეებთან
2003 წელი 22 ივლისი

ურთიერთობის განყოფილების უფროსი ბატონი რევაზ დონაძე.

პოლონეთის ელჩი საქართველოში ბატონი იაცეკ მულტანოვსკი. მან ღნიშნა, რომ მღევანდელი დღე ძალზე მნიშვნელოვანია იმით, რომ მოწვეული ვარ და ვესწრები ლაგოდებში სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც ეძღვნება პოლონელი დამსახურებული ადამიანის ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდებში 58 წლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გახსენებას.

მე როგორც პოლონეთის ელჩი საქართველოში ერთი წელია რაც ვიმყოფები, მე დღემდე არ ვიცოდი ლ. მლოკოსევიჩის პიროვნების შესახებ, პოლონეთშიც ძალიან მცირედ იციან მის შესახებ. ჩემთვის ძალიან სინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ლაგოდებში აქ ამ დარბაზში შევხვდი აქ მცხოვრებ პოლონელებს, მოვისმინე თქვენი წინადადებები, მოსაზრებები როგორც თქვენს ისე ლ. მლოკოსევიჩის დიდი დამსახურების შესახებ ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის საქმეში.



იაცეკ მულტანოვსკი სხდომათა დარბაზში ლაგოდებში მცხოვრებ პოლონელებთან შეხვედრის დროს

ეს ღონისძიება ძალზე მნიშვნელოვანია და საელჩო მომავალშიც გააგრძელებს ურთიერთობას აქ მცხოვრებ პოლონელებთან. მე მინდა პოლონეთის საელჩოს სახელით გისურვოთ წარმატებები, თვითეულ თქვენთაგანს გისურვოთ კეთილი ცხოვრება აქ ლაგოდებში ქართველებთან ერთად. იმედია, რომ გაივლის კიდევ მრავალი ათეული წლები და დაუვიწყარი იქნება ლუდვიგ მლოკოსევიჩის წვლილი ლაგოდების ასეთი შესანიშნავი ნაკრძალის შექმნის საქმეში.



ლაგოდებში მცხოვრები პოლონელები სხდომათა დარბაზში 2003 წლის 22 ივლისი



საგარეო საქმეთა სამინისტროს
განყოფილების უფროსი რევაზ დონაძე



წიგნის ავტორი ჯემალ ხაჩიძე



გამგებლის მოადგილე მზია ჯაფარიძე



შპს „კავკასიონის“ დირექტორი დავით ლომიძე



ნაკრძალის ყოფილი დირექტორი
ვაჟა პავლიაშვილი



ნაკრძალის მეცნიერ-მუშაკი
გიორგი მამუკელაშვილი



იაცეკ მულტანოვსკი ლ. მლოკოსევიჩის საფლავთან



კულტურის განყოფილების
თანამშრომელი ვალერი ოლიაშვილი



ზაური ხუციშვილი, რევაზ დონაძე,
იაცეკ მულტანოვსკი, აკაკი ზახტაძე

ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა“ 1990 წელი ივლისი

ყველასათვის კარგადაა ცნობილი ლაგოდების მკვიდრი ექიმი პეტრე ზგონიკოვი, რომელიც რამდენიმე ათეული წელია ცხოვრობს ოჯახთან ერთად ქ. ხარკოვში. მაგრამ როგორც ლაგოდებელი არასოდეს ივიწყებს მშობლიურ ლაგოდებს. მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი საგაზეთო სტატია და მსოფლიოს სხვადასხვა ჟურნალებში ლუდვიგ მლოკოსევიჩის ლაგოდებში წარსულის მოდვანების ისტორიული საარქივო მასალები.

ჟურნალის ამ წერილში აღწერილია 1989 წლის ივნისში დაღესტანში ქ. ხარკოვიდან პ. ზგონიკოვი, რომ მიიწვიეს დაღესტნის რაიონის სოფელ ჩოროდაში ვინმე ომარ სულეიმანოვის ოჯახში. ხოლო პ. ზგონიკოვის თხოვნით ლაგოდებიდან ჩავიდა ლაგოდებელი გიორგი დოდაშვილი, რომელიც ამჟამადაც მუშაობს ლაგოდების სახელმწიფო ნაკრძალში (დაცული ტერიტორია)

ჩასვლის მიზანი იყო, ომარ სულეიმანოვის ბაბუა სულეიმანოვი ომარი და ლუდვიგ მლოკოსევიჩი ძალიან ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს და მეგობრობდნენ კიდევ. ლ. მლოკოსევიჩი დაღესტანში მოწყობილი ექსპედიციების დროს ყოველთვის სულეიმანოვ ომარის ბინაში ათევდა ღამეებს. ლ. მლოკოსევიჩს დაღესტანში იცნობდნენ როგორც ლაგოდებელ პოლონელს და „СТАРШИИ ЛЕСНИЧС“.

1909 წლის 22 ივლისს როდესაც ლ. მლოკოსევიჩი დაღესტნის ტერიტორიაზე მორიგი ექსპედიციის დროს მდ. დურმუტის ნაპირებზე გარდაიცვალა შეუტყობინებიათ სულეიმან ომარისათვის, მას ჩამოუსვენებია თავის სახლში, ხოლო ამის შემდეგ ცხენებით დიდი კავკასიონის მთების გადავლით გადაუსვენებიათ ლაგოდებში.

ეს საშინელი ამბავი მთელმა ლაგოდებმა, ლაგოდების სამხედრო განრიზონის ოფიცრებმა და რიგითმა ჯარისკაცებმა მოულოდნელ დიდ ტრაგედიად მიიღეს. ლაგოდებში როდესაც გადაასვენეს მათ დახვედრიათ ლაგოდების სამხედრო პოლკის ორკესტრი, ეს ორკესტრი მის დაკრძალვამდე ყოველ საღამოს სამგლოვიაროდ უკრავდა.

სულეიმანოვ ომარს მოხუცებულობაში თავისი შვილიშვილისათვის ომარ სულეიმანოვისათვის დაუბარებია, რომ აქ დაღესტანში ლ. მლოკოსევიჩისათვის დაედგა ძეგლი. მას ბაბუასათვის მიცემული პირობა მართლაც შეუსრულებია და მდ. დურმუტის ნაპირას სოფელ ჩოროდაში ტყის პირას დაუდგამს ლ. მლოკოსევიჩის ძეგლი, რომელსაც ამ სოფლის მოსახლეობა დღესაც პატივისცემით იხსენიებენ. პ. ზგონიკოვი და გ. დოდაშვილი 1989 წელს სწორედ ამ ძეგლის სანახავად მიუწვევია ომარ სულეიმანოვს.

მე დღემდე არ ვფობდი ასეთ საინტერესო და დაღესტნელი ხალხის გულთბილ ინფორმაციას, მაგრამ 21-ე საუკუნის დღევანდელი გადასახედიდან ესეც ერთი დიდი დადასტურებაა დადებითი ურთიერთობისა დაღესტნელი და ქართველი მოსახლეობისა, სადაც ეს ყველაფერი მოხდა პოლონელი ლუდვიგ მლოკოსევიჩის უკვდავ საყოფად, ჩემის აზრით აქ ჩადებულია პოლონელი ხალხის დიდი პატივისცემა.